პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 26 მარტი, 1946 წ. № 62 (7535). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მეტალურგიის აღმავლობა ახალი ხუთწლედის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა — „პრავდის“ 24 მარტის მოწინავე. (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები: კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. (მე-2 და მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული კანონები მოგვიწოდებენ ახალი შრომითი წარმატებებისაკენ. (1-ლი გვერდი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში. (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები. (მე-4 გვერდი).

მეტალურგიის აღმავლობა ახალი ხუთწლედის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა

კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს პირველ რიგში მძიმე მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენასა და განვითარებას, როგორც მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გადიდების უმნიშვნელოვანეს პირობას. მნიშვნელოვანი ადგილი ახალ სტალინურ ხუთწლედში ეთმობა შავ მეტალურგიას, რომელიც ამხანაგ სტალინის განსაზღვრით, არის ჩვენი მრეწველობის საფუძველთა საფუძველი.

ჩვენი ქვეყნის მეტალურგიის ისტორიას არ ახსოვს ისეთი გრანდიოზული ნახტომი, რომელიც მან უნდა გააკეთოს ახლანდელ ხუთწლედში. აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოთა მასშტაბი კოლოსალურია. ხუთწლედში უნდა აღდგენილ იქნას, აშენდეს და ამუშავდეს 45 ბრძმედი, 270 მარტენის ღუმელი, ელექტროღუმელი და კონვერტორი, 104 საგლინავი დაზგა, 63 საკოქსო ბატარია. ეს აგრეგატები უზარმაზარ ენერგიას მეტალურგიულ სიმძლავრეთა უდიდეს მატებას: თუჯის გამოდნობაში—12,8 მილიონ ტონას, ფოლადის გამოდნობაში—16,2 მილიონ ტონას, ნაგლინის გამოშვებაში—11,7 მილიონ ტონას, კოქსის გამოწვაში — 19,1 მილიონ ტონას. ახლად ასამუშავებელი სამადნეები ნავარაუდევია წლიურად 35,4 მილიონი ტონა მადნის მოპოვებისათვის.

ბოლშევიკების პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში შექმნილია მძლავრი ინდუსტრია. გაიზარდა შავი მეტალურგია. შეიქმნა ახალი მეტალურგიული ბაზა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში. დიდია შავი მეტალურგიისა და მისი მუშების, ინჟინერ-ტექნიკური და მეთაურთა კადრების სახელოვანი არმიის როლი სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაციაში, სამშობლოს დაცვის, ჰიტლერული გერმანიის გასამგურებლად საქმეში. ჩვენს ხალხს ახსოვს და პატივსა სცემს მებრძმედების, მეფოლადეების, მგლინავების, კოქსქიმიკოსებისა და მაღაროელების გმირულ შრომას, რომლებმაც სასახელოდ იმუშავეს სსრ კავშირის ძლიერების განსამტკიცებლად.

ახლა საბჭოთა მეტალურგების წინაშე დასმულია ახალი უდიდესი ამოცანები. არა მარტო უნდა აღვადგინოთ წარმოების ომამდელი დონე, არამედ აგრეთვე უნდა გაღავაჭარბოთ მას 35 პროცენტით. უნდა ავაღორძინოთ სამხრეთის უდიდესი მეტალურგიული ქარხნები. ამავე დროს საჭიროა ყოველმხრივ განვავითაროთ მეტალურგიული ბაზა ურალში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში. საქართველოში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში და ლენინგრადის რაიონში შეიქმნება ახალი მეტალურგიული ცენტრები. ამ ამოცანების განხორციელებით საბჭოთა მეტალურგია შესძლებს უკეთ დააკმაყოფილოს მრეწველობის ყველა დარგის სწრაფად მზარდი საჭიროებანი.

შავი მეტალურგია, რომელიც აღდგენისა და გაფართოების პროცესშია, დიდძალ ნედლეულს მოითხოვს. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კრივოი როგის რკინის მადნის აუზის, კამიშბურუნის რკინის მადნის კომბინატის, ლიპეცკისა და ტულის სამადნოების, ჭიათურისა და ნიკოპოლის მარგანეცის საბადოების სიმძლავრის სრულ ადგენას. შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირსა და ამიერკავკასიაში უნდა შეიქმნას საკუთარი რკინის მადნის ბაზა. კერძოდ, გორნაია შორიის მადნის საწარმოთა განვითარება შესაძლებლობას მოგვცემს გავაძლიეროთ კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის მომარაგება ადგილობრივი ნედლეულით და გავათავისუფლოთ იგი შორიდან მოტანილი მაგნიტოგორსკის მადნისაგან.

თუჯისა და ფოლადის გამოდნობის, ლითონის ნაგლინისა და კოქსის გამოწვის დიდი რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და წარმოების ავტომატიზაციის საშუალებით. ცნობილია, რომ მეტალურგიული წარმოება დაკავშირებულია ნედლეულის — მადნის, სათბობის, კირქვის, ლითონის ჯართის უდიდესი მასების გადამუშავებასთან. უნდა აღვჭურვოთ მადნის, ქვანახშირისა და კოქსის საწყობები თანამედროვე ტვირთამწე ონკანებით, ფართოდ გამოვიყენოთ თვითგანმტვირთველი ვაგონები. საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და აპარატურის გამოყენება მეტალურგიული აგრეგატების მართვის ავტომატიზაციის საქმეში საშუალებას მოგვცემს უკეთ ვაწარმოოთ ტექნოლოგიური პროცესები და გავადიდოთ მოწყობილობის ნაყოფიერება.

შავი მეტალურგიის დავალებანი მომავალი ხუთწლედისათვის წარმოადგენენ ნაწილს სტალინური გეგმისას, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ თუჯის გამოდნობა წელიწადში გადიდდეს 50 მილიონ ტონამდე და ფოლადისა—60 მილიონ ტონამდე. ახალი მეტალურგიული ქარხნები უნდა აშენდეს ჩრდილოეთ ურალში, ციმბირში, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, კურსკის მაგნიტური ანომალიის რაიონში. არსებული ქარხნების მომდინარე საჭიროებათა დაკმაყოფილებაც და ახალი მეტალურგიული ქარხნების მომავალი მშენებლობაც მოითხოვს რკინის მადნისა და სხვა მეტალურგიული ნედლეულის საძრეწველო მარაგის შემდგომ გადიდებას. ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის წიაღი მადნეულის, მათ შორის რკინის მადნის უაღრესად უხვ მარაგს შეიცავს. საჭიროა უფრო ენერგიულად ვაწარმოოთ მათი გამოკვლევა, შესწავლა და გამოყენება სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის.

შავი მეტალურგიის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელება შეუპოვარ, დაძაბულ შრომას მოითხოვს. მეტალურგებმა, რომლებიც ამ მხრივ მუდამ მაგალითის მომცემი იყვნენ, ახალ ხუთწლედშიც უნდა გამოიჩინონ თავი, როგორც სახელოვანი საბჭოთა მუშათა კლასის მოწინავე რაზმმა. მათი შემოქმედებითი ინიციატივა, მათი ტექნიკური ნოვატორობა რაც შეიძლება ფართოდ უნდა გაჩაღდეს.

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ მეტალურგიის განვითარება მარტო მეტალურგების საქმე როდია, ეს არის დიდი საყოველთაო სახალხო საქმე. დანგრეული ქარხნების აღდგენა და ახლების მშენებლობა კონკრეტულ დახმარებას მოითხოვს მრეწველობის ყველა დარგის მხრივ. იგი მოითხოვს არა მარტო მეტალურგიული ცენტრების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობას, არამედ იმ რაიონების ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობასაც, სადაც ქვანახშირს იღებენ მეტალურგიისათვის, სადაც სრულდება მისი მოწყობილობის შეკვეთები, სადაც გროვდება ლითონის ჯართი და სხვ.

ზამთრის თვეებში ზოგიერთი მეტალურგიული ქარხანა სიძნელეებს განიცდიდა სათბობისა და ნედლეულის მიწოდების მხრივ. ახლა არის იმის პირობები, რომ მეტალურგიული ქარხნების საჭიროება ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის მხრივ უკეთ დაკმაყოფილდეს. მაგრამ მთელი რიგი მეტალურგიული ქარხნები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იღებენ მათთვის განკუთვნილ ქვანახშირსა და მაზუთს. დნეპრისპირეთის ქარხნებს აკლიათ ელექტროენერგია. ნედლეულის გადაზიდვა არათანაბრად სწარმოებს. მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს ისეთი ქარხნები, როგორიცაა ნოვო-კრამატორსკისა დონბასში, ირკუტსკისა, ნოვო-კრამატორსკისა ქალაქ ელექტროსტალში, ვადაზე ვერ ასრულებენ მეტალურგიული მოწყობილობის შეკვეთებს და აყოვნებენ სიმძლავრეთა ამუშავებას მთელ რიგ მეტალურგიულ ქარხნებში. უკანასკნელ თვეებში შესუსტებულია ყურადღება ლითონის ჯართის დამზადებისა და გადაზიდვისადმი.

ეს ნაკლოვანებანი გადაჭრით და სწრაფად უნდა აღმოიფხვრას. ყველამ, ვინც მოწოდებულია მოემსახუროს მეტალურგთა საჭიროებას, ეს სრული სიზუსტითა და პუნქტუალობით უნდა გააკეთოს. რკინიგზები ვალდებული არიან შეუფერხებლად გადაზიდონ მეტალურგიული ქარხნებისათვის გაგზავნილი ტვირთი. ყველა მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელიც მოწოდებულია დაამზადოს დაზგები და მოწყობილობა მეტალურგებისათვის, ვალდებულია ეს წრაფვოდეს ასეთი შეკვეთების ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

საბჭოთა მეტალურგები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ახალ ხუთწლიან გეგმას. ახალ ხუთწლიან გეგმას ისინი სთვლიან კომუნისტური პარტიის დაუღალავ ზრუნვად, ამხანაგ სტალინის ზრუნვად მეტალურგიის განვითარებისათვის. მეტალურგთა მილიონიანი არმია მზად არის მთელი თავისი ძალები მოახმაროს სტალინური გეგმის შესრულებას.

ჩვენი ხალხი აღსავსეა რწმენით, რომ ეს მზადყოფნა თავის გამოხატულებას ჰპოვებს აღორძინებული და ახლადაგებული მძლავრი, თუჯისა და ფოლადის გამოდნობის გადიდებით, ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიული ძლიერების შემდგომი განმტკიცებით.

მაშ გაუმარჯოს თქვენს მუშაობას, ამხანაგო მეტალურგებო!

„პრავდის“ 24/III მოწინავე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

14) მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ვ. პ. ანდრეევი (საერთო საკითხებზე), მ. ი. პერელიგინკო, ნ. ი. კოჩნოვი, მ. ნ. სულოევი, ა. ი. კოზლოვი, ნ. ნ. ვოლკოვი.

15) სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: პ. ნ. გორემიკინი (საერთო საკითხებზე), პ. ნ. პიგოლკინი, ნ. ვ. მარტინოვი, გ. ი. სინეგუბოვი, ნ. ე. პაპერნოვი.

16) საავტომობილო მრეწველობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: პ. ს. კუჩუმოვი (საერთო საკითხებზე), ა. მ. არავინი, ი. ს. კოგანი, გ. ს. ხლამოვი, ვ. ლ. პრიკაზჩიკოვი, პ. ფ. იუდინი.

17) ელექტრომრეწველობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ი. გ. ზუბოვიჩი (საერთო საკითხებზე), გ. ვ. ალექსენკო, ა. ი. ტოვსტოპალოვი, ე. ს. ბრაილოვსკი, კ. ნ. მეშჩერიაკოვი, ი. ა. ფადინი.

18) საზღვაო ფლოტის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ა. ა. აფანასიევი (საერთო საკითხებზე), ვ. ვ. ბაკაევი, ლ. ი. ბელახოვი, ი. პ. კოროტეევი.

19) სამდინარო ფლოტის სამინისტროში—მინისტრის მოადგილეებად: ა. ა. ლუკიანოვი (საერთო საკითხებზე), ა. ნ. ვახტუროვი, ვ. ბ. გაისინი, ვ. ი. რახმანინი, პ. ვ. ჩერეკკო.

20) დაზგათმშენებლობის სამინისტროში—მინისტრის მოადგილეებად: ა. ე. ვიატკინი (საერთო საკითხებზე), ს. ი. ფომინი, მ. ვ. ჩელუხოვი, პ. ნ. ჟიდკოვი, ი. ზ. რიხლეცკი.

21) მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: დ. ი. რაიზერი (საერთო საკითხებზე), ა. ნ. მარკოჩევი, ს. ვ. ნეფედოვი, ი. ა. ონუფრიევი, ვ. ვ. ბურგმანი.

22) მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში—მინისტრის მოადგილეებად: ფ. დ. მურავიოვი (საერთო საკითხებზე), პ. დ. ალექსანდროვი, დ. გ. კოსტენკო, ა. ი. რიბაკოვი, ს. ი. შამენკოვი, ვ. ა. პრუსაკოვი.

23) კვების მრეწველობის სამინისტროში—მინისტრის მოადგილეებად: ნ. ი. პრონინი (საერთო საკითხებზე), ა. ა. ლოგინოვი, ე. ვ. ბისტროვა, ი. კ. სივოლაპი, ე. ნ. ნევსკი.

24) ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ი. ა. კუზმინიხი (საერთო საკითხებზე), ლ. გ. პრისტავკო, ვ. ვ. კოსტიგოვი, ვ. ა. ვლადოვი, ბ. ი. კოკორევი, მ. რ. ლინეცკი.

25) დამზადებათა სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: პ. ვ. არზამასცევი (საერთო საკითხებზე), დ. ი. ფომინი, ს. ვ. პოტაპოვი. ძ. ი. სტეპანოვი, მ. დ. შაპირო, ს. ნ. ბოროვოი, ვ. ვ. ნემიკინი.

მანჯურიიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაციისათვის

ამ დღეებში პასუხად ჩინეთის მთავრობის შეკითხვისა მანჯურიიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაციის დაყოვნების მიზეზთა და მისი დამთავრების ვადის შესახებ საბჭოთა მთავრობამ აცნობა ჩინეთის მთავრობას, რომ საბჭოთა სარდლობა მანჯურიიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაციას აპრილის დამლევისათვის დამთავრებს. საბჭოთა მთავრობის პასუხში შემდეგ აღნიშნულია, რომ მანჯურიიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაცია შეიძლებოდა დამთავრებულიყო ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში, ჩინეთის მთავრობას რომ ორჯერ არ ეთხოვნა ევაკუაციის გადადება. შედგომში, ზამთრისა და ცუდი ამინდის პირობების გამო, საბჭოთა ჯარების ევაკუაცია შეფერხდა. მაგრამ ამჟამად, როდესაც ამინდი გაუმჯობესდა, საბჭოთა სარდლობას შესაძლებლობა აქვს დაჩქაროს ევაკუაცია და იგი აპრილის ბოლოსათვის დამთავროს. (საკდესი).

ირანიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაციისათვის

ირანში მყოფი საბჭოთა ჯარების გამოყვანა მეშჰედის, შაჰრუდის, სემნანის რაიონებიდან, რაც 1946 წლის 2 მარტს დაიწყო, უკვე დამთავრდა. ირანის მთავრობასთან შეთანხმებით დანარჩენი საბჭოთა ჯარების ევაკუაცია 24 მარტს დაიწყო. ირანში მყოფი საბჭოთა სარდლობა ვარაუდობს, რომ ირანიდან საბჭოთა ჯარების სრული ევაკუაცია შეიძლება დამთავრებულ იქნას ხუთი-ექვსი კვირის განმავლობაში, თუ გაუთვალისწინებელი რამ არაფერი მოხდა. (საკდესი).

პოლონეთის პროფესიული კავშირების დელეგაციის გამგზავრება

24 მარტს სამშობლოში გაემგზავრა სსრ კავშირში სტუმრად მყოფი პოლონეთის პროფესიული კავშირების დელეგაცია პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური კომისიის გენერალური მდივნის კაზიმირ რუსინეკისა და ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის იუზეფ შენსნიაკის მეთაურობით. გამგზავრების წინ სტუმრები შეხვდნენ მოსკოვის პროფკავშირულ აქტივს და გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი სსრ კავშირში მგზავრობის შესახებ.

ცენტრალურ აეროდრომზე დელეგატები გააცილეს: პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანმა ლ. ნ. სოლოვიოვმა, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილემ ი. ნ. ჟმიხოვმა, ცენტრის სამრეწველო მშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ა. მინინმა და სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ა. ზორინამ. (საკდესი).

ამხ. ა. ა. გრომიკო დაინიშნა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად უშიშროების საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ანდრია ანდრიას-ძე გრომიკო დანიშნა საბჭოთა კავშირის მუდმივ წარმომადგენლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში.

სეულში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივმა კომისიამ

ხეიძიო, 23 მარტი. (საკდესი). აქ მიღებულია ცნობა, რომ 20 მარტს სეულში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივმა კომისიამ, რომელიც შეიქმნა კორეის შესახებ სამი სიგავრეო საქმეთა მინისტრის მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილების შესაბამისად კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნისათვის დახმარების გასაწევად. კომისიის პირველ სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს გენერალ-პოლკოვნიკმა შტიკოვმა და გენერალ-მაიორმა ჰოჯმა. გენერალმა ჰოჯმა, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ კომისია შეიკრიბა, რათა „განახორციელოს მოსკოვის შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებანი“, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ კომისიის მუშაობის შედეგები დაამტკიცებენ მსოფლიოს ორი დიდი ერის—სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, სრული თანამშრომლობის უნარს, და რწმენა გამოსთქვა, რომ ამ კომისიაში წარმოდგენილ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის სარდლობის წარმომადგენელთა ერთობლივი ღონისძიებანი „შესაძლებელს გახდიან მეგობრულად და სამართლიანად გადაიჭრას კორეის ყველა არსებული პრობლემა“.

გენერალ-პოლკოვნიკმა შტიკოვმა სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის სარდლობის წარმომადგენელთა ერთობლივი კომისია მოწოდებულია განახორციელოს სამი მინისტრის მოსკოვის თათბირის ისტორიული გადაწყვეტილება კორეის შესახებ, და განაცხადა:

„ეს გადაწყვეტილება გამოხატულებაა დიდ მოკავშირე სახელმწიფოთა კეთილი ნებისა და პასუხისგებისა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კორეის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენას და შეჰქმნან პირობები მისი განვითარებისათვის დემოკრატიულ საფუძვლებზე.

ამჟამად კორეა შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში—ეროვნული აღორძინებისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში.

კორეელმა ხალხმა სისხლითა და აუოაცხელი ტანჯვით დაიმსახურა დამოუკიდებლობის, თავისუფალი თავისთავადი ცხოვრების უფლება.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს კორეელი ხალხის ამ უფლებას. საბჭოთა კავშირი მუდამ იცავდა და დაიცავს უკლებლივ ყველა ერის თვითგამორკვევისა და თავისუფალი არსებობის უფლებას“.

შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკმა შტიკოვმა განაცხადა: „დემოკრატიული დამოუკიდებელი კორეის სახელმწიფოს შექმნის დიადმა მიზნებმა გაპოიწვიეს მთელი კორეელი ხალხის დიდი პოლიტიკური აქტივობა. მაგრამ კორეელი ხალხის მთელი შინაური ცხოვრების თანმიმდევრული დემოკრატიზაციის გზაზე დგანან უდიდესი სიძნელენი, რაც გამოწვეულია რეაქციული და ანტიდემოკრატიული ჯგუფებისა და ცალკე ელემენტების გაფფორებული წინააღმდეგობით, რომლებიც მიზნად ისახავენ ჩაშალონ კორეაში დემოკრატიული წყობილების შექმნისა და განმტკიცების საქმე.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ერთობლივი კომისიის ამოცანა ის არის, რომ დახმარება გაუწიოს კორეელ ხალხს შეჰქმნას კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც უნარი ექნება განახორციელოს კორეის დემოკრატიზაციისა და აღორძინების საქმეში მას წინაშე მდგომი ამოცანები.

საბჭოთა კავშირი სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული, რომ კორეა იყოს ნამდვილად დემოკრატიული, დამოუკიდებელი და საბჭოთა კავშირისადმი მეგობრულად განწყობილი სახელმწიფო, რათა მომავალში იგი არ გახდეს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ბაზა და პლაცდარმი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული კანონები მოგვიწოდებენ ახალი შრომითი წარმატებებისაკენ

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში უდიდესი აქტივობით ჩატარდა მიტინგები, საუბრები, მოხსენებები, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებული კანონების გაცნობისადმი. სესიის მიერ მიღებულ კანონებში მშრომელები ხედავენ ჩვენი სამშობლოს ბრწყინვალე პერსპექტივებს. ეს აღაფრთოვანებს მათ თავდადებული შრომისათვის. მიტინგებზე გამოსულთა სიტყვები გამსჭვალულია უღრმესი სიყვარულით საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა შემოქმედის დიდი სტალინისადმი. მშრომელები თავიანთ პატრიოტულ სიტყვებში გამოსთქვამენ მზადყოფნას მთელი ენერგია მოახმარონ ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გრანდიოზულ საქმეთა შესრულებას.

დიმიტროვის სახელობის ქარხანაში უდიდესი შრომითი აღმავლობაა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის დღეებში ქარხნის მოწინავე ადამიანები სტახანოვურ ვახტზე იდგნენ და ახალი საწარმოო რეკორდებით უპასუხებდნენ სასიხარულო ცნობებს სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესახებ. ამ დღეებში ხარატმა ტყეშელაშვილმა დღიური ნორმა არაერთგზის შეასრულა 1.500-1.600 პროცენტით. რამდენიმე დღე ზედიზედ 27 ნორმას იძლეოდა ხარატი ამხ. თუმანიანი. ათასოვანმა ზეინკალმა ამხ. რეშიდოვმა საკუთარი რაციონალიზატორული წინადადების განხორციელების შეოხებით 18 მარტს დავალება 5.545 პროცენტით შეასრულა.

— სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალ ხუთწლიან გეგმაში ყოველი საბჭოთა ადამიანი ხედავს თავისი სურვილებისა და მისწრაფების განხორციელებას. 5 წლის მანძილზე საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები არაფერს დავიშურებთ, ოღონდ ვადამდე და სრულად შეკასრულოთ სტალინური დავალებანი,—განაცხადა ათასოვანმა ზეინკალმა ამხ. სახოკიამ.

ქარხნის მოწინავე ზეინკალმა ამხ. სახოკიამ პირველ დღესვე გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. სიტყვა საქმედ აქცია წარჩინებულმა ჩამომსხმელმა ამხ. ხადურმაც. 22, 23 და 24 მარტს მან 12 ნორმაზე მეტი გამოიმუშავა. ზეინკალმა ბერიანიძემ სესიის მასალების განხილვისადმი მიძღვნილ მიტინგზე იკისრა ხუთასოვანთა რიგებში ჩადგეს. 22 მარტს მან გეგმა 680 პროცენტით შეასრულა და ასეთივე წარმატებით იმუშავა შემდეგ დღეებშიც.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში მუშებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები გააცნო დირექტორის მოადგილემ ამხ. კუძიევმა.

— ახალ გეგმაში გათვალწინებულია ჩვენი მრეწველობის მძლავრი აღმავლობა,—ამბობს ზეინკალი ამხ. ბენდიაშვილი.—დაზგათმშენებელი ქარხნის მუშებს ეს გვავალებს დაუღალავად ვიმუშაოთ შრომის ნაყოფიერება ასამაღლებლად.

სტახანოველი ზეინკალი ამხ. ბენდიაშვილი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ახალი ხუთწლიანი გეგმის მიღების აღსანიშნავად ნაკისრ კალდებულებას.

ქარხანაში სტახანოვურად მუშაობს ხარატი პეტრეევიც. იგი ნაკისრ ვალდებულებას 50 პროცენტით აჭარბებს და სისტემატურად 4 ნორმას იძლევა. მეტი ნაყოფიერებით მუშაობს ამ დღეებში ზეინკალი ამხ. სვანი, რომელიც მტკიცედ ჩადგა ხუთასოვანთა რიგებში.

— არაფერია იმაზე უფრო საპატიო, ვიდრე მუშაობდე და იბრძოდე სოციალიზმის ქვეყნის სტალინურ გეგმათა განსახორციელებლად,—განაცხადა მიტინგზე ამხ. სვანმა.—პირობას ვიძლევი არა მარტო თვითონ ვიმუშაო თავდადებით, არამედ ახალგაზრდა მუშებსაც შევასწავლო სტახანოვური მუშაობის მეთოდები.

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც რესპუბლიკაში საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორია, იკისრა ვადამდე შეასრულოს აღებული ვალდებულებანი.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში ნაკისრი ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულება სახელოვან ტრადიციათ იქცა. ქარხნის სტახანოველი ზეინკალი ამხ. ბენდიაშვილი.—დაზგათმშენებელი ქარხნის მუშებს ეს გვავალებს დაუღალავად ვიმუშაოთ შრომის ნაყოფიერება ასამაღლებლად.

სტახანოველი ზეინკალი ამხ. ბენდიაშვილი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ახალი ხუთწლიანი გეგმის მიღების აღსანიშნავად ნაკისრ კალდებულებას.

ქარხანაში სტახანოვურად მუშაობს ხარატი პეტრეევიც. იგი ნაკისრ ვალდებულებას 50 პროცენტით აჭარბებს და სისტემატურად 4 ნორმას იძლევა. მეტი ნაყოფიერებით მუშაობს ამ დღეებში ზეინკალი ამხ. სვანი, რომელიც მტკიცედ ჩადგა ხუთასოვანთა რიგებში.

— არაფერია იმაზე უფრო საპატიო, ვიდრე მუშაობდე და იბრძოდე სოციალიზმის ქვეყნის სტალინურ გეგმათა განსახორციელებლად,—განაცხადა მიტინგზე ამხ. სვანმა.—პირობას ვიძლევი არა მარტო თვითონ ვიმუშაო თავდადებით, არამედ ახალგაზრდა მუშებსაც შევასწავლო სტახანოვური მუშაობის მეთოდები.

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც რესპუბლიკაში საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორია, იკისრა ვადამდე შეასრულოს აღებული ვალდებულებანი.

ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების პასუხად პირობა დასდო 110 პროცენტით შეასრულოს შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა, გასწიოს 6 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია, ახალი პროფესიები შეასწავლოს 15 მოწაფეს და მარტსა და აპრილში ააშენოს მუშათა საერთო საცხოვრებელი.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსაშახურეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებულ კანონებს. ქარხნის ჰოწინავე ადამიანებმა, რომლებიც სესიის აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დადგნენ, ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს, რათა შრომითი გმირობით ცხადჰყონ თავიანთი მზადყოფნა ჩვენი ქვეყნის აყვავების სტალინური გეგმის შესასრულებლად.

— სესიამ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გრანდიოზული პროგრამა დასახა,—ამბობს ხარატი ამხ. ა. განგაშვილი,—სტალინური გეგმები ახალი შრომითი გმირობისაკენ მოგვიწოდებენ. მე ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური საწარმოო დავალება 450 პროცენტით შევასრულო.

ძიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს და ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ქარხნის მოწინავე ადამიანებმა: მეყალიბე მირზოევმა, მრანდავმა მანოიანმა, ზეინკალმა ნოდაროვმა და სხვებმა.

ბორჩალოს რაიონის სოფელ თათალოს კოლმეურნეობა „პირველ მაისში“ აგიტატორებმა ფართოდ გააცნეს კოლმეურნეებს საბჭოთა პარლამენტის ისტორიული გადაწყვეტილებანი. — ჩვენი ქვეყანა შევიდა სოციალისტური ძმენებლობის ახალ ეპოქაში,—განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ისმაილ ალიევმა.—სტალინური ხუთწლედი საკოლმეურნეო სოფლის შემდგომი აყვავების ხუთწლედია. პირველ ხუთწლედთან შედარებით სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1950 წელს 2½-ჯერ უნდა გადიდდეს. ეს ახალი შრომითი გმირობისაკენ მოგვიწოდებს.

კოლმეურნეებმა იკისრეს ვადამდე, აგროწესების სრული დაცვით, დამთავრონ თამბაქოს და გერანის გადარგვა 82 ჰექტარზე, ხოლო თესვა ვადაზე ათი დღით ადრე ჩაატარონ.

ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშები ახალი საწარმოო რეკორდებით უპასუხებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს. — ხალხის რჩეულთა გადაწყვეტილებებისადმი ჩვენი პასუხი ის იქნება,—ამბობს ორდენოსანი მეტალურგი ამხ. ლ. ბრეგვაძე,—რომ ვიმუშაოთ გაორკეცებული ენერგიით, კიდევ უფრო გავადიდოთ ლითონის გამოდნობა.

ორდენოსანი მეტალურგის სიტყვები უკვე ხორცს ისხამენ. მისმა ცვლამ მარტის მეხუთე ხუთდღიურში დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. ამ დღეებში განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ხ. გოგლიჩიძისა და დ. მელქაძის ცვლები. ოსინი სისტემატურად 120 პროცენტით ასრულებენ დავალებას. ი. ჯუღელის, მ. შპიჩკას, ვ. გეწაძის, კ. ქოჩიაშვილისა და ს. წიქარიშვილის ბრიგადები საუცხოოდ უვლიან ღუმელებს, მტკიცედ იცავენ ტექნოლოგიური პროცესებს. მათ დღიური გამომუშავება 130 პროცენტამდე აიყვანეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონებით აღფრთოვანებული ზესტაფონელი მეტალურგები პირობას იძლ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № № 60, 61).

სატვირთო ვაგონების პარკის ავტომუხრუჭებით მოწყობა გადიდდეს ვაგონების საერთო პარკის 93 პროცენტამდე და ავტოგადაბმით — ვაგონთა საერთო პარკის 75 პროცენტამდე. მთლიანად აღდგენილ იქნას დაზიანებული მძიმრავი შემადგენლობა და გაუმჯობესდეს ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტი.

დაჩქარდეს ვაგონების ბრუნვა რკინიგზებზე 1945 წლის 10,9 დღეღამიდან 7 დღეღამემდე 1950 წელს და შემცირებულ იქნას რკინიგზების ტვირთზიდვათა სიშორე 1945 წლის 790 კილომეტრიდან 690 კილომეტრამდე 1950 წელს; ყოველმხრივ შემცირდეს ვაგონების მოცდენა სამრეწველო საწარმოთა ლიანდაგებზე.

რკინიგზის ტრანსპორტზე კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ხუთწლედისათვის დამტკიცდეს 40,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით. დამთავრდეს 1948 წელს რკინიგზების აღდგენა დონეცის ქვანახშირისა და კრივოი როგის მადნის აუზებში, იმ სარკინიგზო მიმართულებებისა, რომლებიც მოსკოვს აკავშირებენ დონბასთან, ლენინგრადსა და კავკასიასთან, 15 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძით. კაპიტალურად აღდგენილ იქნას და აშენდეს იმ რკინიგზებზე, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს,—1.800 დიდი და საშუალო ხიდი, მათ შორის მდინარეებზე დნეპრსა, დონსა, დნესტრსა, ნევასა, ნემანსა, ზაპადნაია დვინასა, ვოლხოვსა და იუჟნი ბუგზე. აღდგენილ იქნას და აშენდეს 1.500 სარკინიგზო ვაგზალი, 1.300 საორთქლმავლო დეპო, 128 სავაგონო დეპო და ვაგონსარემონტო პუნქტი.

ხუთწლედის განმავლობაში გაყვანილ იქნას ახალი რკინიგზის ხაზები 7.230 კილომეტრი საერთო სიგრძისა, მათ შორის სტალინსკ-მაგნიტოგორსკის მაგისტრალზე. აგებულ და აღდგენილ იქნას 12.500 კილომეტრი საერთო სიგრძის მეორე ლიანდაგი. ელექტროფიცირებულ იქნას 5.320 კილომეტრი რკინიგზა. ავტომატური ბლოკირებით მოეწყოს 10.400 კილომეტრი რკინიგზა.

ჩატარდეს შემდგომი მუშაობა რკინიგზის სადგურებისა და კვანძების განვითარებისა და ტექნიკური მოწყობისათვის; აგებულ და აღდგენილ იქნას 21 მექანიზებული გორაკი.

რკინიგზების მოქმედ ქსელში დაგებულ იქნას 50 ათასი კილომეტრი ახალი რელსები, მათ შორის გზის რეკონსტრუქციის დროს 3 ათასი კილომეტრი და კაპიტალური რემონტის დროს 29 ათასი კილომეტრი.

აღდგენილ იქნას ოკუპაციის პერიოდში დანგრეული ორთქლმავალსარემონტო და ვაგონსარემონტო ქარხნები და აშენდეს 11 ახალი ორთქლმავალსარემონტო ქარხანა, ელმავალსარემონტო ქარხანა, 1 თბომავალსარემონტო ქარხანა, 11 ვაგონსარემონტო ქარხანა და 3 ქარხანა სამარაგო ნაწილების დასამზადებლად.

უზრუნველყოფილ იქნას 1946-1950 წლების განმავლობაში 5,5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებისათვის.

მიეცეს რკინიგზის ტრანსპორტს 1946-1950 წლების განმავლობაში 4,5 მილიონი ტონა რელსი, 2 მილიონი ტონა რელსის სამაგრი და 185 მილიონი ჯალი შპალი; დაწყებულ იქნას მძიმე ტიპის რელსების წარმოება და ლიანდაგად დაგება.

ამაღლებულ იქნას დასატვირთავ-გადმოსატვირთავ სამუშაოთა მექანიზაციის დონე რკინიგზის ტრანსპორტზე სამუშაოთა საერთო მოცულობის 75 პროცენტამდე.

უზრუნველყოფილ იქნას მისასვლელი გზების აღდგენა იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს, არსებული მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და ახლების მშენებლობა, განსაკუთრებით ურალისა და ციმბირის საწარმოებში, და სამრეწველო საწარმოთა სატრანსპორტო საამქროების მუშაობის გაუმჯობესება.

36. **სამდინარო ტრანსპორტის** დარგში—1950 წელს ომამდელ დროსთან შედარებით სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გადიდდეს 38 პროცენტით.

კაპიტალურად აღდგენილ იქნას სამდინარო ტრანსპორტი იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, ისე, რომ 1948 წელს დამთავრდეს ფლოტის, ნავსადგურებისა და ნავმისადგომების აღდგენა მდინარეებზე დნეპრსა, პრიპიატსა, დონსა, ყუბანსა, ნემანსა, ზაპადნაია დვინასა და სვირზე, ლადოგისა და ონეგის ტბებზე და სსრ კავშირის სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის მოცულობა ამ რაიონებში გადიდდეს ომამდელ დონემდე.

გაუმჯობესდეს ვოლგისა და მისი შენაკადების, ციმბირისა და ჩრდილოეთის მდინარეების გამოყენება, დაჩქარდეს თვითმავალი და არათვითმავალი ფლოტის მიმოქცევა, გაძლიერდეს ტვირთზიდვის სიჩქარე და არათვითმავალი ფლოტის გამოყენება საშუალოდ 25 პროცენტით 1940 წელთან შედარებით.

გაუმჯობესდეს არსებული სამდინარო ნავსადგურები და ნავმისადგომები, მთლიანად მექანიზებულ იქნას სამდინარო გემების დატვირთვა და გადმოტვირთვა და 1950 წელს ყველა დასატვირთავ-გადმოსატვირთავ სამუშაოთა მექანიზაცია აყვანილ იქნას 75 პროცენტამდე; აღჭურვილ იქნას სამდინარო ნავსადგურები და ნავმისადგომები გადმოსატვირთავი მექანიზმებით (ონკანებით, ელექტროკარებით, ამწეებით, ტრანსპორტიორებით).

აღდგენილ იქნას თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის სტალინის სახელობის არხი და დაწყებულ იქნას მარიის სამდინარო გზის რეკონსტრუქცია; სანაოსნო გზების საერთო სიგრძე 1950 წელს გადიდდეს 115 ათას კილომეტრამდე.

უზრუნველყოფილ იქნას ხუთწლედში სიმძლავრეთა მატება სამდინარო თვითმავალ ფლოტში 300 ათასი ცხენძალით და არასამდინარო ფლოტში 3 მილიონი ტონით.

აშენდეს ხუთი გემთსაშენი ვერფი და მათთვის მოეწყოს მთავარი საგემო მანქანების, დამხმარე მექანიზმებისა და საგემო არმატურის წარმოება. სამდინარო გემების აგებისას გამოყენებულ იქნას გემთსაშენი ტექნიკის მიღწევანი.

ტექნიკურად აღჭურვილ იქნას გემთსარემონტო საწარმოები და ხის გემთა მშენებლობის ვერფები; უზრუნველყოფილ იქნას ხის სამდინარო გემების მშენებლობა და ფლოტის რემონტი ხარისხოვანი გემთსაშენი ხეტყით.

მოკავშირე რესპუბლიკებში ყველგან გაჩაღებულ იქნას პატარა მდინარეების სატრანსპორტო ათვისება ადგილობრივი ტვირთზიდვისათვის; მოეწყოს მოკავშირე რესპუბლიკებში ბაზები პატარა მდინარეებისათვის თვითმავალი და არათვითმავალი ფლოტის ასაგებად.

37. **საზღვაო ტრანსპორტის** დარგში — 1950 წელს საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გადიდდეს 2,2-ჯერ ომამდელ პერიოდთან შედარებით.

შეივსოს საზღვაო ფლოტი 600 ათასი ტონით, მათ შორის 400 ათასი ტონა თვითმავალი სატრანსპორტო გემებით და 90 ათასი ტონა არათვითმავალი სატრანსპორტო გემებით.

კაპიტალურად აღდგენილ იქნას საზღვაო ნავსადგურები აზოვ-შავი ზღვისა და ბალტიის ზღვის აუზებში და დამთავრდეს ნავსადგურების მშენებლობა შორეულ აღმოსავლეთში. ნავსადგურების აღდგენა განხორციელებულ იქნას ნავსადგურების მშენებლობის თანამედროვე ტექნიკის მიღწევათა გათვალისწინებით.

გადიდდეს ნავსადგურების გამტარუნარიანობა სანავსადგურო ტერიტორიების კეთილმოწყობის, დასატვირთავ-გადმოსატვირთავ და შინასასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციის, სანავსადგურო და მოძრავი ამწეების რაოდენობის გადიდებისა და შინასანავსადგურო ტრანსპორტის (ავტოსაწევრების, ლიფტამწეების, ხე-ტყის ავტოსაზიდრების) ყველაზე სრულყოფილი მექანიზმების ფართოდ დანერგვის გზით.

გადიდდეს ღრმაწყლიანი გემთმისადგომების რაოდენობა 1,7-ჯერ 1940 წელთან შედარებით; უზრუნველყოფილ იქნას ძირითად საზღვაო სანაოსნო სადგურებში სიღრმეები დიდი საოკეანო გემების მისაღებად.

სავსებით აღდგენილ იქნას გემთსარემონტო ქარხნები ბალტიისა და შავი ზღვის აუზებში. აშენდეს 3 ახალი გემთსარემონტო ქარხანა. 1950 წელს გადიდდეს საზღვაო ფლოტის გემთსარემონტო ბაზების სიმძლავრე 2,5-ჯერ ომამდელ პერიოდთან შედარებით. 1950 წელს გადიდდეს გემთასაწევ ნაგებობათა (დოკებისა და სლიპების) რაოდენობა 1,8-ჯერ 1940 წელთან შედარებით.

გაფართოვდეს ჩვენი ქვეყნის საზღვაო სავაჭრო გემთმშენებლობის ბაზა, რისთვისაც 1946-1950 წლებში აშენდის ორი გემთსაშენი ქარხანა: ერთი შავი ზღვის აუზში სატრანსპორტო საზღვაო გემების გამოსაშვებად და ერთი ქარხანა ბალტიის ზღვის აუზში ტრაულერებისა და საზღვაო ბუქსირების გამოსაშვებად.

1950 წელს დამთავრდეს მუშაობა ჩრდილოეთი საზღვაო გზის ნორმალურად მოქმედ სანაოსნო მაგისტრალად გადაქცევისათვის.

38. ყოველმხრივ განვითარდეს ჩვენი ქვეყნის გემთმშენებლობა. 1950 წელს გემთმშენებლობა გადიდდეს ერთიორად 1940 წელთან შედარებით. უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირში ძლიერი და მძლავრი ფლოტის მშენებლობა. აშენდეს საბჭოთა ფლოტისათვის ახალი ხომალდები და ახალი საზღვაო ბაზები.

39. **ავტოტრანსპორტისა და ავტოსაგზაო მეურნეობის** დარგში—ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის საავტომობილო პარკი ერთიორად გადიდდეს ომამდელ დროსთან შედარებით. უზრუნველყოფილ იქნას საავტომობილო ტრანსპორტზე დიზელიანი მოტორების, გადიდებული შეკუმშვის ბენზინიანი მოტორების, ადგილობრივი სახეობის სათბობით მომუშავე გაზბალონური და გაზგენერატორული ავტომობილების და თვითგანმტვირთავი ავტომობილების ფართოდ გამოყენება.

გაუმჯობესდეს ავტომობილების გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; ყოველმხრივ შემცირდეს ავტომობილების მოცდენა და ცარიელი მიმოსვლა; შეიქმნას საერთო სარგებლობის საავტომობილო მეურნეობანი; დაინერგოს მისაბმელებისა და კონტეინერების გამოყენება ტვირთის გადასაზიდავად; უზრუნველყოფილ იქნას საავტომობილო მეურნეობა სარემონტო სახელოსნოებით; განვითარდეს საგარაჟო მოწყობილობისა და ინსტრუმენტის წარმოება.

მოეწყოს საავტომობილო ტრანსპორტით მასობრივი ტვირთის სარაიონთაშორისო გადაზიდვა; უზრუნველყოფილ იქნას მოკლე მანძილზე ტვირთზიდვისათვის რკინიგზის ტრანსპორტის შეცვლა ავტოტრანსპორტით.

ხუთწლედში გადიდდეს საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გაუმჯობესებული საავტომობილო გზების ქსელი 11,5 ათასი კილომეტრით.

აღდგენილ იქნას და კაპიტალურად შეკეთდეს საკავშირო მნიშვნელობის გზების არსებული ქსელი.

40. **საჰაერო ტრანსპორტის** დარგში—გადიდდეს სამოქალაქო საავიაციო ტრანსპორტის თვითმფრინავთა პარკი თანამედროვე სამგზავრო და სატრანსპორტო თვითმფრინავებით; გადიდდეს საჰაერო ხაზების ქსელი 175 ათას კილომეტრამდე. აღდგენილ იქნას და განვითარდეს საჰაერო მიმოსვლა, პირველ რიგში, იმ უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, რომლებიც მოსკოვს აკავშირებენ მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრებსა და საოლქო ქალაქებთან, აგრეთვე ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონების საჰაერო მიმოსვლა. აღდგენილ იქნას და განვითარდეს ადგილობრივი საჰაერო ხაზები, რომლებიც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრებს აკავშირებენ ცალკე რაიონებთან.

მოეწყოს საკავშირო მნიშვნელობის საჰაერო ხაზები ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც რეგულარული ფრენის ნებას იძლევიან მთელი წლის განმავლობაში, ხოლო უძნიშვნელოვანეს მაგისტრალებზე—ღამით. აღდგენილ იქნას 16 აეროპორტი თანამედროვე მძიმე და ჩქარი სატრანსპორტო თვითმფრინავების საექსპლოატაციოდ. აღდგენილ იქნას და აიგოს 20 აეროვაგზალი არსებულ და ახლადასაგებ აეროპორტებში.

განვითარდეს სპეციალური დანიშნულების ავიაციის მასობრივი გამოყენება სოფლისა და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლაში, მოსახლეობის სანიტარული მომსახურების საქმეში, აგრეთვე აეროფოტოგადაღებისათვის.

41. **კავშირგაბმულობის საშუალებათა აღდგენისა და განვითარების** დარგში—მთლიანად აღდგენილ იქნას კავშირგაბმულობის საშუალებანი და უზრუნველყოფილ იქნას მათი შემდგომი განვითარება იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს, განსაკუთრებით რადიოკავშირისა და მაგისტრალური კაბელისა, ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვის საფუძველზე. სსრ კავშირის ელექტროკავშირგაბმულობის გენერალური სქემის საფუძველზე დამთავრდეს საიმედო სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირის მოწყობა მოსკოვსა და ყველა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრთან, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებისა—თავიანთ საოლქო ცენტრებთან; მთლიანად ტელეფონიზებულ იქნას რაიონული ცენტრები, სოფლის საბჭოები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები.

აღდგენილ და გაყვანილ იქნას 7.800 კილომეტრი მაგისტრალური სატელეფონო-სატელეგრაფო კაბელი. გაყვანილ იქნას 50 ათასი კილომეტრი ფერადი ლითონის მავთული; მოეწყოს თანამედროვე მაღალხარისხოვანი აპარატურის ელექტროკავშირგაბმულობის ძირითადი მაგისტრალები.

დაიდგას 55 სატელეგრაფო-სატელეფონო რადიოგადამცემი, მათ შორის 20 რადიოგადამცემი ცენტრალურ რაიონებში შორეულ აღმოსავლეთსა, ყაზახეთსა, შუა აზიასა და ამიერკავკასიასთან რადიოკავშირის გასაძლიერებლად.

გადიდდეს სატელეფონო სადგურების სიმძლავრე და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფაზოვანი ავტომატური სატელეფონო სადგურების დანერგვას.

უზრუნველყოფილ იქნას რადიომაუწყებლობის შემდგომი განვითარება; დაიდგას 28 ახალი რადიომაუწყებელი სადგური და 1950 წელს რადიომიმღები ქსელი გადიდდეს 75 პროცენტით ომამდელ დროსთან შედარებით.

აღდგენილ იქნას და ტექნიკურად ხელახლად მოეწყოს ტელევიზიის ცენტრი მოსკოვში და აიგოს ახალი სატელევიზიო ცენტრები ლენინგრადში, კიევსა და სვერდლოვსკში.

ყოველმხრივ გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომსახურება საფოსტო კავშირგაბმულობით, აშენდეს სოფლად 5.000 ახალი შენობა ფოსტისათვის, საფოსტო კორესპონდენციისა და პერიოდული პრესის გადასაზიდავად ფართოდ იქნას გამოყენებული საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტი.

III.

ხალხის ცხოვრების მაფერიალური და კულტურული დონის ამაღლების გეგმა

1. წარმოების გადიდების, საქონელბრუნვის გაფართოებისა და მშრომელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ხარჯების გადიდების საფუძველზე ხუთწლიანი გეგმის პერიოდში არა მარტო აღდგენილ იქნას ხალხის კეთილდღეობის ომამდელი დონე, არამედ 30-ზე მეტი პროცენტით გადაჭარბებულ იქნას სახალხო შემოსავლის ომამდელი დონე.

განისაზღვროს სახალხო შემოსავლის მოცულობა 1950 წელს (1926-1927 წლის ფასებით) 177 მილიარდი მანეთის რაოდენობით დაგროვების ფონდისა და მოხმარების ფონდის შესაფერის ზრდასთან ერთად.

2. **შრომისა და კადრების მომზადების** დარგში—დაწესდეს მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1950 წელს 33,5 მილიონი კაცის რაოდენობით და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში 252,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით, უზრუნველყოფილ იქნას ფასების თანმიმდევრული დაკლება ყველა საქონელზე, მშრომელთა საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება. შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად გადიდდეს მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1950 წელს ექვსი ათას მანეთამდე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 1940 წლის დონეს.

წარმოების გადაწყვეტ დარგებში მუშახელის მიზიდვისა და მუშების მუდმივი კადრების შექმნის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას მძიმე მრეწველობის დარგების (ქვანახშირის მრეწველობა, მეტალურგია, ნავთის მრეწველობა), მუშათა, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის უფრო მაღალი დონე.

გაუმჯობესდეს მუშათა შრომის სანარდო-პროგრესიული ანაზღაურების სისტემა, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა პრემირების სისტემა საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სისტემატურად გადიდდეს პრემიების მნიშვნელობა ხელფასში.

გაფართოვდეს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გამოყენება მრეწველობაში, ამასთან გათვალისწინებულ იქნას მოწინავე ტექნოლოგია და შრომის გაზრდილი ტექნიკური აღჭურვილობა. უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნორმირების საქმე ინჟინრებისა და ტექნიკოსების გამოცდილი კადრების მიერ. განხორციელდეს ღონისძიებანი წარმოებაში შრომის პირობების კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად (უშიშროების ტექნიკა, ვენტილაცია, განათება, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო ბინები).

სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების კვალიფიციური მუშახელით უზრუნველსაყოფად და საწარმოო კადრების ტექნიკური მომზადების ხარისხის გასაუმჯობესებლად გადიდდეს 1950 წლისათვის საფაბრიკო-საქარხნო სკოლებიდან, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებიდან ახალგაზრდა კვალიფიციური მუშების წლიური გამოშვება 1,2 მილიონამდე. სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემაში ხუთი წლის პერიოდში მომზადდეს 4.500 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

გაიშალოს მასობრივი პროფესიების კვალიფიციური კადრების ფართო მომზადება წარმოებაში ინდივიდუალური, ბრიგადული და საკურსო სწავლების გზით, უზრუნველყოფილ იქნას ხუთი წლის მანძილზე 7,7 მილიონი მუშის ტექნიკური სწავლება და 13,9 მილიონი მუშის კვალიფიკაციის ამაღლება.

გადიდდეს კოლმეურნეებისათვის შრომადღეზე ნატურალური და ფულადი გაცემა 1940 წელთან შედარებით კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ზრდის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საფუძველზე.

მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე მუშახელის მიზიდვის მიზნით აღდგენილ იქნას მუშახელის ორგანიზებული შეგროვება სამეურნეო ორგანიზაციათა მიერ კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან ხელშეკრულების დადების საფუძველზე.

უპირველეს ამოცანად ჩაითვალოს საწარმოთა უზრუნველყოფა კვალიფიციური და მუდმივი მუშათა კადრებით წარმოების შემდგომი მექანიზაციის, მუშათა შრომის ორგანიზაციის, მომარაგებისა და საბინაო პირობების სისტემატური გაუმჯობესების საფუძველზე.

3. **კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის** დარგში—გადიდდეს სახელმწიფო ხარჯები ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კულტურულ-ყოფაცხოვრებითი მომსახურებისათვის, ესე-იგი ხარჯები სოციალური დაზღვევისათვის და სახელმწიფოს ხარჯები განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სახელმწიფო შრომითი რეზერვების კადრების მომზადებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისა და სამამულო ომის ინვალიდების დასაბმარებლად, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, გარდა სახელმწიფო ხარჯებისა საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის, 106 მილიარდ მანეთამდე 1950 წელს, რაც 2,6-ჯერ აღემატება 1940 წლის დონეს.

უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათაგან მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევისათვის სახსრების შეტანა 1946-1950 წლების განმავლობაში 61,6 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

გადიდდეს დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების რაოდენობა 1950 წელს 193 ათასამდე და მოსწავლეთა რაოდენობა ამ სკოლებში 31,8 მილიონამდე, უზრუნველყოფილ იქნას ბავშვთა საყოველთაო სავალდებულო სწავლება შვიდი წლის ასაკიდან როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

მუშა და გლეხი ახალგაზრდობის სკოლების ფართო ორგანიზაციის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ახალგაზრდობის იმ ნაწილის სწავლა, რომელმაც სამამულო ომის და მთელი რიგი საბჭოთა რაიონების დროებითი ოკუპაციის პირობებში ვერ შესძლო ნორმალური განათლება მიეღო სკოლაში.

გადიდდეს სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში 1950 წელს 674 ათასამდე და მოსწავლეთა რაოდენობა სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში 1.280 ათასამდე; დაწესდეს ხუთი წლის მანძილზე უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა გამოშვება 602 ათასი კაცის რაოდენობით და ტექნიკუმებისა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულთა გამოშვება 1.326 ათასი კაცის რაოდენობით.

გაფართოვდეს უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება სათბობ-ენერგეტიკული და მეტალურგიული მრეწველობისათვის სოფლის მეურნეობისა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის, აგრეთვე მასწავლებელთა მომზადება დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის; მოეწყოს ახალი ტექნიკის დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; ამაღლდეს უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადების ხარისხი.

გადიდებულ იქნას კინოდანადგარების რაოდენობა 1950 წელს 46.700-მდე ნაცვლად 1940 წლის 28 ათასისა; უზრუნველყოფილ იქნას თვითეული რაიონული ცენტრი და ქალაქის ტიპის დაბა სტაციონარული კინოდანადგარით; მნიშვნელოვნად გაფართოვდეს სტაციონარული კინოქსელი სოფლად; გადიდდეს მუდმივი თეატრების რაოდენობა 898-მდე, კლუბებისა და მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობა ქალაქად და სოფლად გადიდდეს 284.900-მდე.

გადიდდეს ბავშვთა რაოდენობა საბავშვო ბაღებში 1950 წელს 2.260 ათასამდე, ანუ ერთიორად 1940 წელთან შედარებით. სავსებით უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო ხარჯზე საბავშვო სახლებში იმ ობლების აღზრდა, რომლებმაც მშობლები დაჰკარგეს სამამულო ომის პერიოდში.

აღდგენილ იქნას რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, მტრის მიერ დანგრეული სკოლები, სასწავლებლები, სამეცნიერო დაწესებულებანი, მუზეუმები, თეატრები, კინოები, კლუბები, ბიბლიოთეკები და ქოხ-სამკითხველოები.

გადიდდეს საავადმყოფოს საწოლების რიცხვი 1950 წელს 985 ათასამდე ნაცვლად 1940 წლის 710 ათასისა, მუდმივ საბავშვო ბაღებში ადგილების რაოდენობა გადიდდეს 1.251 ათასამდე ნაცვლად 1940 წლის 859 ათასისა, აგრეთვე გაფართოვდეს ბავშვთა და ქალთა კონსულტაციების, საბავშვო საავადმყოფოების და სარძეო სამზარეულოთა ქსელი.

მთლიანად აღდგენილ იქნას დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების ქსელი მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის. გადიდებულ იქნას ადგილთა (ერთდროული ყოფნის) რაოდენობა სანატორიუმებში 250 ათასამდე, ხოლო დასასვენებელ სახლებში 200 ათასამდე.

უზრუნველყოფილ იქნას სამამულო ომის ინვალიდების სამედიცინო მომსახურება, მათ შორის საავადმყოფოებით, დასასვენებელი სახლებით და სანატორიუმებით. მოეწყოს სამამულო ომის ინვალიდებისათვის მაღალი ხარისხის გაუმჯობესებული პროტეზების წარმოება.

გადიდდეს მედიკამენტების, სამედიცინო ინსტრუმენტებისა და სამედიცინო მოწყობილობის წარმოება სამედიცინო მრეწველობის საწარმოებში 1.200 მილიონ მანეთამდე 1950 წელს, ანუ 85 პროცენტით 1940 წელთან შედარებით. მოეწყოს მაღალხარისხოვანი თანამედროვე სამედიცინო ინსტრუმენტის, აგრეთვე შემოწმებული თანამედროვე მედიკამენტების მასობრივი წარმოება.

4. **საბინაო და საქალაქო მშენებლობის** დარგში — განხორციელდეს იმ რაიონების, ქალაქების, მუშათა დაბებისა და სოფლების დანგრეული საბინაო ფონდის აღდგენა, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და გაჩაღდეს ახალი საბინაო მშენებლობა ისეთი ოდენობით, რომელიც უზრუნველჰყოფს ქალაქებს, მუშათა დაბებისა და სოფლების მშრომელთა საბინაო პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

გადიდდეს საბინაო მშენებლობის კაპიტალდაბანდებათა ხვედრითი წონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობაში 14,5 პროცენტამდე ნაცვლად 10,5 პროცენტისა მესამე ხუთწლედის პერიოდში. გადიდდეს საბინაო მშენებლობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის 42,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით ნაცვლად 15.5 მილიარდი მანეთისა მესამე ხუთწლედში (ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ჩაუთვლელად). ყოველმხრივ გაუმჯობესდეს საბინაო მშენებლობის ხარისხი.

დამტკიცდეს სახელმწიფო საბინაო ფონდის აღდგენისა და ახალი მშენებლობის გეგმა ხუთწლედისათვის 72,4 მილიონი კვადრატული მეტრი საბინაო ფართობის რაოდენობით, მათ შორის სამინისტროებისა და უწყებების ხაზით 65,0 მილიონი კვადრატული მეტრი და ადგილობრივი საბჭოების ხაზით 7,4 მილიონი კვადრატული მეტრი. გარდა ამისა გათვალისწინებულ იქნას ხუთწლედის მანძილზე ქალაქებსა და მუშათა დაბებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აღდგენა და მშენებლობა მოსახლეობის სახსრებით სახელმწიფო კრედიტის დახმარებით 12 მილიონი კვადრატული მეტრი საბინაო ფართობის რაოდენობით.

საბინაო პირობების გაუმჯობესების, მრეწველობის მუდმივი მუშათა კადრების შექმნის და მუშახელის დენადობის ლიკვიდაციის მიზნით საწარმოებში სამეურნეო ორგანიზაციების ძალებით გაჩაღდეს საკარმიდამო ტიპის თითო და ორ-ორ ბინიანი სახლების მშენებლობა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის ამ სახლების მისასყიდად გრძელვადიანი კრედიტის მიცემით.

დაეკისროთ სამინისტროებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს მუშობა მათი საბინაო ფონდის და აღდგენის პროცესში მყოფი ქალაქების საცხოვრებელი უბნების მოსაწყობად კეთილმოწყობის ძირითადი სახეებით—წყალსადენით, კანალიზაციით, მოკირწყვლით, გამწვანებით, განათებით, აბანოებით, სამრეცხაოებით.

აღდგენილ იქნას წყალსადენი, კანალიზაცია, ქალაქის ტრანსპორტი, კომუნალური ელექტროსადგურები და აბანოები იმ ქალაქებში, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს. მოსახლეობის კომუნალური მომსახურების დონის შემდგომი ამაღლების მიზნით გაფართოვდეს არსებული კომუნალური საწარმოები და გაჩაღდეს ახალი კომუნალური მშენებლობა, აგებულ იქნას ხუთწლედის მანძილზე ახალი წყალსადენი 16 ქალაქში, კანალიზაცია 13 ქალაქში. ტრამვაის მიმოსვლა 8 ქალაქში და ტროლეიბუსის მიმოსვლა 20 ქალაქში.

ქალაქების კომუნალური მეურნეობისათვის ხუთწლედში დამზადდეს უახლესი კონსტრუქციების 1.750 ტრამვაის ვაგონი და 3 ათასი ტროლეიბუსი; გადიდდეს ხუთწლედის მანძილზე ავტობუსების რაოდენობა ქალაქებში 22 ათასით და სამგზავრო ტაქსებისა 15 ათასით; გადიდდეს ქუჩებისა და

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(გაგრძელება)

მოედნების მოკირწყვლა ქალაქებსა და მუშათა დაბებში, ამასთან გადიდდეს გაუმჯობესებულ საფარველთა ფართობი.

განსაზღვრულ იქნას ხუთწლედის მანძილზე სოფლებში კოლმეურნეობათა და გლეხთა სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით საცხოვრებელი სახლების აღდგენისა და ახალი მშენებლობის მოცულობა 3.400 ათასი სახლის რაოდენობით, მათ შორის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, 2.240 ათასი სახლის რაოდენობით.

დახმარება გაეწიოს გლეხებსა და სოფლის ინტელიგენციას მათ მიერ საკუთარი საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და აღდგენაში კრედიტის მიცემისა და სამშენებლო მასალებისა და მზა დეტალების მიყიდვის გზით.

იმის გამო, რომ ადგილობრივი საბჭოებისა და საწარმოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის განხორციელება, განსაზღვრულ იქნას ქალაქებში ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის მოცულობა 5 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

5. **საცალო საქონელბრუნვისა და მოხმარების დარგში** — გადიდდეს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1950 წელს (1945 წლის ფასების დონის შემცირების გათვალისწინებით) 275 მილიარდ მანეთამდე, რაც 28 პროცენტით სჭარბობს 1940 წლის საქონელბრუნვის მოცულობას შედარებითს ფასებში.

განხორციელდეს 1946-1947 წლების მანძილზე ბარათებით მოსახლეობის ნორმირებული მომარაგებიდან გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა. პურის, ფქვილის, ბურღულისა და მაკარონის ნაწარმის ბარათები გაუქმდეს 1946 წლის შემოდგომიდან.

გაფართოვდეს მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტების, ქსოვილთა, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოება და მოსახლეობისათვის მიყიდვა. გადიდდეს 1950 წელს 1940 წელთან შედარებით სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საქონლის საბაზრო ფონდები, მათ შორის: ხორცისა და თევზის პროდუქტების, შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის, ჩითის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებისა და ტყავის ფეხსაცმლის. ამასთან ერთად განვითარდეს კულტურული და სამეურნეო საჭიროების საქონლის წარმოება და გაყიდვა.

გადიდდეს ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და მოსახლეობისათვის მიყიდვა 1950 წელს შემდეგ ოდენობამდე: ალუმინის, მინანქრიანი და ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭლისა — 260 მილიონი ცალი, სამოვრის — 200 ათასი ცალი, ჭიქის — 160 მილიონი ცალი, ავეჯის (უცვლელ ფასებში) — 1.200 მილიონი მანეთისა, საკერავი მანქანის — 450 ათასი ცალი, სხვადასხვა საათის — 7.400 ათასი ცალი, პატეფონის — 1 მილიონი ცალი, რადიომიმღების — 925 ათასი ცალი, მოტოციკლის — 135 ათასი ცალი, ველოსიპედის — 1.050 ათასი ცალი, სანადირო თოფის — 350 ათასი ცალი და ფოტოაპარატების — 530 ათასი ცალი.

1946 წლიდან მოეწყოს ხე-ტყის მასალის, რკინის, ლურსმნის, აგურის, ფანჯრის მინის, სამღებრო საქონლისა და სხვა სამშენებლო-სარემონტო მასალის საცალო ვაჭრობა.

ქალაქებსა და სოფლებში აღდგენილ იქნას და გადიდდეს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის, აგრეთვე სავაჭრო ბაზებისა და საწყობების ქსელი. აღდგენილ იქნას და გაფართოვდეს ქალაქებში სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი, ხოლო სოფლად — რაიონული უნივერმაღებისა და გლეხთა მოთხოვნილების სამეურნეო საქონლის სავაჭრო მაღაზიების ქსელი. გაფართოვდეს საჩაიეების ქსელი ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და დიდ დასახლებულ პუნქტებში.

უზრუნველყოფილ იქნას საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომი განვითარება; აღდგენილ იქნას და გაფართოვდეს საკოლმეურნეო ბაზრების ქსელი; ბაზრებში მოეწყოს გლეხთა მოთხოვნილების სამრეწველო საქონლის ფართო გაყიდვა.

IV.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმა

დამტკიცდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შემდეგი დავალებანი მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით იმ დავალებათა ფარგლებში, რაც მოცემულია მთლიანად საბჭოთა კავშირისათვის ამ კანონის II და III თავებში.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში

1. დამტკიცდეს რსფს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

თუჯი (მილიონ ტონობით)	9,5
ფოლადი (მილიონ ტონობით)	16,0
ქვანახშირი (მილიონ ტონობით)	141,9
ნავთი (მილიონ ტონობით)	14,5
ელექტროენერგია (მილიარდ კილოვატ-საათობით)	57,2
ტორფი (მილიონ ტონობით)	34,2
ლითონსაჭრელი დაზგები (ათას ცალობით)	28,5
ავტომობილები (ათას ცალობით)	457,0
ტრაქტორები (ათას ცალობით)	82,0
მეტალურგიული მოწყობილობა (ათას ტონობით)	66,7
ორთქლის ტურბინები (ათას კილოვატობით)	2.201
ორთქლის ქვაბები (ათას კვადრატულ მეტრობით)	399
ცემენტი (ათას ტონობით)	6.343
ფანჯრის მინა (მილიონ კვადრატულ მეტრობით)	48,2
მერქნის გამოზიდვა (მილიონ კუბმეტრობით)	230
ქაღალდი (ათას ტონობით)	996,0
ბამბის ქსოვილი (მილიონ მეტრობით)	4.185,5
შალის ქსოვილი (მილიონ მეტრობით)	129,0
ტყავის ფეხსაცმელი (მილიონ წყვილობით)	156,3
მცენარეული ზეთი (ათას ტონობით)	324,4
შაქარი (ათას ტონობით)	463,0
ხორცი (ათას ტონობით)	731
ერბო-კარაქი (ათას ტონობით)	158
თევზეფერა (ათას ტონობით)	1.884,5
სპირტი (მილიონ დეკალიტრობით)	60,3
მარილი (ათას ტონობით)	2.200

2. დამტკიცდეს რსფს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 145 მილიარდი მანეთის რაოდენობით, აქედან რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 14.105 მილიონი მანეთის რაოდენობით, დაწესდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა რსფს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, 34.600 მილიონი მანეთის რაოდენობით.

3. აშენდეს და ამოქმედდეს 1946-1950 წლებში 13 ბრძმედი 3,3 მილიონი ტონა თუჯის სიმძლავრით, ფოლადსადნობი აგრეგატები 6,8 მილიონი ტონა ფოლადის სიმძლავრით, 35 საგლინავი დაზგა წელიწადში 4,6 მილიონი ტონა მზა ნაგლინის სიმძლავრით, ქვანახშირის მაღაროები 79,8 მილიონი ტონის საერთო სიმძლავრით. იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, აშენდეს და ამოქმედდეს 6 ბრძმედი 1,0 მილიონი ტონა თუჯის სიმძლავრით, ფოლადსადნობი აგრეგატები 1,4 მილიონი ტონის სიმძლავრით, 9 საგლინავი ჩარხი 0,5 მილიონი ტონის სიმძლავრით, ქვანახშირის მაღაროები 26 მილიონი ტონის სიმძლავრით.

აღდგენილ იქნას შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის ქარხნები იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და შეიქმნას მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის ახალი ბაზები. დაიწყოს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა ლენინგრადის რაიონში. აშენდეს და ამოქმედდეს შორეულ აღმოსავლეთში მეტალურგიულ ქარხანაში კოქსქიმიური საამქრო და ბრძმედი, აგრეთვე გაფართოვდეს მარტენისა და საგლინავი საამქროები. დასავლეთ ციმბირის შავი მეტალურგიის საკუთარი მადნით უზრუნველყოფისა და სტალინის სახელობის კუზნეცკის ქარხნისათვის მაგნიტოგორსკის მადნის შეზიდვის შემცირების მიზნით, 1946-1950 წლებში აშენდეს და ამოქმედდეს მაღაროები წელიწადში 2.010 ათასი ტონა რკინის მადნის სიმძლავრით, გაფართოვდეს ტულისა და ლიპეცკის მაღაროების სიმძლავრე და ამოქმედდეს კურსკის მაგნიტური ანომალიის სამადნეები.

ურალში ენერგეტიკული სათბობის შეზიდვის შემცირების მიზნით ხუთწლედის ბოლოსთვის ქვანახშირის ამოღება გადიდდეს 5,5 მილიონი ტონით 1945 წელთან შედარებით, უზრუნველყოფილ იქნას ღია წესით ქვანახშირის ამოღების ფართოდ განვითარება, კერძოდ, დაიწყოს სვერდლოვსკის ოლქის ვესელოვსკის ქვანახშირის საბადოსა და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის კუიერგაზის საბადოს დამუშავება. მოეწყოს კოქსვადი ქვანახშირის ძიება და ამოღება შორეულ აღმოსავლეთში.

აშენდეს კალიუმის მეორე კომბინატი ურალში; დამთავრდეს სოდის ქარხნის მშენებლობა ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში და დაიწყოს სოდის ახალი ქარხნის მშენებლობა; აშენდეს აზოტის ქარხანა, ანილინის საღებავების ორი ქარხანა, ლაქსაღებავების ქარხანა და პლასტიკური მასების ქარხანა.

4. მთლიანად აღდგენილ იქნას ნავთის სარეწები მაიკოპის, გროზნოს რაიონებში და დაღისტნის ასს რესპუბლიკაში. ხუთწლედის მანძილზე 2,4-ჯერ გადიდდეს ნავთის მოპოვება ვოლგისპირეთის რაიონებში; უზრუნველყოფილ იქნას ნავთის ახალი ფართობების ათვისება თათრეთის ასს რესპუბლიკაში, სარატოვის, კუიბიშევის ოლქებში და ურალის რაიონებში. მნიშვნელოვნად გაფართოვდეს უხტისა და სახალინის ნავთის სარეწები.

ყოველმხრივ გადიდდეს ბუნებრივი გაზის მოპოვება ვოლგისპირეთის რაიონებში იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოსკოვში გაზის გადაცემა და ვოლგისპირეთის რაიონების ენერგეტიკულ, ტექნიკურ და საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილება.

შეიქმნას აღმოსავლეთ ციმბირის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ლენინგრადის ოლქის რაიონებში თხევადი სათბობის მსხვილი მრეწველობა.

5. ამუშავებულ იქნას ელექტროსადგურების სიმძლავრენი 7.085 ათასი კილოვატის რაოდენობით, მათ შორის ელექტროსადგურების სამინისტროს ელექტროსადგურებში 4 მილიონი კილოვატი. აღდგენილ იქნას ელექტროსადგურები და ქსელები იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს.

ფართოდ გაჩაღდეს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ურალის, ცენტრისა და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში და ამუშავებულ იქნას მსხვილ და საშუალო ჰიდროელექტროსადგურებში სიმძლავრენი 939 ათასი კილოვატის რაოდენობით, ხოლო მცირე ჰიდროელექტროსადგურებში 615 ათასი კილოვატის რაოდენობით.

დამთავრდეს რიბინსკის ჰიდროსადგურის მშენებლობა და განხორციელდეს ღონისძიებანი რიბინსკის წყალსაცავის ქვემო ბიეფზე ნორმალური ნაოსნობის პირობების შესაქმნელად. დაიწყოს ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ვოლგასა და ოკაზე.

დაჩქარდეს ჰიდროსადგურების მშენებლობა ურალზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურებისა, უზრუნველყოფილ იქნას ხუთი წლის განმავლობაში 345 ათასი კილოვატის ამოქმედება. აშენდეს და ამუშავდეს პირველ რიგში დიდი ჰიდროსადგური მდინარე კამაზე და რვა საშუალო ჰიდროსადგური სხვა მდინარეებზე. დაიწყოს ჰიდროსადგურის მშენებლობა მდინარე უფაზე, აგრეთვე მოეწყოს მცირე ჰიდროსადგურების მშენებლობა ურალის პატარა მდინარეებზე.

6. ყოველმხრივ განვითარდეს გეოლოგიურ-საკვლევაძიებო სამუშაოები, რომლებიც სამრეწველო მარაგით უზრუნველჰყოფენ ქვანახშირის, ნავთის, ბუნებრივი გაზების, რკინისა და ალუმინის მადნის, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, ნიკელის, კალის, ოქროს, მოლიბდენის, ვოლფრამის, ქარსის, აპატიტის, ასბესტის, გრაფიტის, ცემენტისა და მინის ნედლეულის მოპოვების შემდგომ განვითარებას.

მოეწყოს სამრეწველო მარაგის კვლევა-ძიება A+B კატეგორიებით: რკინის მადნისა—1.117,0 მილიონი ტონა, მარგანეცის მადნისა—4,0 მილიონი ტონა, ქვანახშირისა 488 უბანზე, რომლებიც ვარგისია შახტების ასაშენებლად, 221,0 მილიონი ტონა წლიური საპროექტო სიმძლავრით, ნავთისა — 5.805 ჰაბურღილ-წერტი, ბუნებრივი გაზებისა—60,0 მილიარდი კუბმეტრი, ბოქსიტებისა ალუმინის მრეწველობისათვის—20,0 მილიონი ტონა, აპატიტისა —140,0 მილიონი ტონა, გრაფიტისა—5,0 მილიონი ტონა, ქარსისა A+B+C₁ კატეგორიებით — 223 ათასი ტონა.

7. ამუშავდეს ბამბის ქსოვილების მრეწველობაში 1.420 ათასი სართავი თითისტარი, აქედან რსფს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, 335 ათასი თითისტარი. გაგრძელდეს სამუშაოები დასავლეთ ციმბირში საფეიქრო მრეწველობის ბაზის შესაქმნელად აგრეთვე შეიქმნას ახალი ბაზები აღმოსავლეთ ციმბირში.

8. უზრუნველყოფილ იქნას 1946-1950 წლების პერიოდში რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციის, სამშენებლო მასალათა მრეწველობის და სათბობის ადგილობრივი სახეების მოპოვების აღდგენა და შემდგომი ზრდა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებში ამუშავდეს კომუნალური ელექტროსადგურები 126 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრით, ქვანახშირის მაღაროები 2,6 მილიონი ტონის სიმძლავრით, საგლინავი დაზგები 36 ათასი ტონის სიმძლავრით, სართავი თითისტარები ბამბის ქსოვილის მრეწველობაში 218 ათასი ცალი.

დამტკიცდეს 1950 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 34,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით, აქედან ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 13,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

ყოველმხრივ ათვისებულ იქნას ტბათა და მდინარეთა წყალსატევები. ჩატარდეს ძვირფასი ჯიშის თევზის ფართო აკლიმატიზაცია მოსკოვის ზღვაში, რიბინსკის წყალსაცავში და მოეწყოს იქ სამრეწველო თევზეფერა. აღდგენილ იქნას და ომამდელ დონეზე მეტად გადიდდეს გუბურების თევზის მეურნეობა და წყლის ფრინველის მოშენება გუბურებში.

9. მოსკოვის შემდგომი სამეურნეო და კულტურული განვითარებისა და მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდეს ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის განხორციელების სამუშაოები. ხუთწლედში აშენდეს 3 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აქედან 550 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ძოსკოვის საბჭოს ხაზით. ჩატარდეს არსებული საბინაო ფონდის აღდგენითი რემონტი და ამაღლდეს მისი კეთილმოწყობა.

გაგრძელდეს მოსკოვის მეტროპოლიტენის მეოთხე რიგის მშენებლობა. გაუმჯობესდეს ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტი; გადიდდეს ტრამვაის ვაგონების მოძრავი შემადგენლობა, გაფართოვდეს ტროლეიბუსების პარკი 1.060 მანქანით, ტაქსომოტორებისა 2.800 მანქანით, ხოლო ავტობუსების პარკი აყვანილ იქნას 3 ათას მანქანამდე. გაგრძელდეს საგარეუბნო სარკინიგზო მიმოსვლის ელექტროფიკაცია. ხუთწლედის მანძილზე ქალაქში აშენდეს 3 მილიონი კვადრატული მეტრი გაუმჯობესებული გზები.

დამთავრდეს 1946 წელს სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის მშენებლობა და ხუთწლედის მანძილზე მოხდეს 200 ათასი ბინის გაზიფიკაცია, რითაც შემცირდეს შეშის მოხმარება. გაგრძელდეს ქალაქის თბოფიკაცია, რისთვისაც აშენდეს 215 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის თბოელექტროსადგურები და ამუშავდეს 75 კილომეტრი თბოქსელი.

10. აღდგენილ იქნას ლენინგრადი, როგორც ჩვენი ქვეყნის უდიდესი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას მრეწველობის წარმოების ომამდელი დონის მიღწევა უფრო მაღალ ტექნიკურ ბაზაზე; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ლენინგრადში გემთმშენებლობისა და კვალიფიციური მანქანათმშენებლობის განვითარებას. დაიწყოს ლენინგრადში მეტროპოლიტენის მშენებლობა და ამუშავდეს პირველი რიგი.

11. დაწესდეს რსფს რესპუბლიკაში ნათესი ფართობი 1950 წლისათვის 99,4 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 84,1 მილიონი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 68,0 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 61 მილიონი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 6,2 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 5,9 მილიონი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილისა 7,4 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 3,5 მილიონი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 17,8 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 13,7 მილიონი ჰექტარი.

დაწესდეს 1950 წლისათვის რსფს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, ნათესი ფართობი 29,5 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 24,9 მილიონი ჰექტარი. აღდგენილ და გაფართოებულ იქნას ხარისხოვანი ვაზის გაშენება ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. განვითარდეს ჩაის საქმე და ციტრუსოვანი კულტურები სოჭის რაიონში.

პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 7.550 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 6.187 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 35.087 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 14.840 ათასი სული; ცხვარი და თხა 58.814 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 28.060 ათასი სული; ღორი 15.197 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 6.987 ათასი სული.

დაწესდეს 1950 წლის დამლევისათვის პირუტყვის სულადობა რსფს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, შემდეგი რაოდენობით: ცხენი—1.348 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 1.028 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 9.158 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 4.131 ათასი სული; ცხვარი და თხა 15.080 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 8.365 ათასი სული და ღორი 5 მილიონი, აქედან კოლმეურნეობებში 1.893 ათასი სული.

12. აღდგენილ იქნას იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, რკინიგზები და რკინიგზის სადგურები, სამდინარო სისტემები, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურები. უზრუნველყოფილ იქნას პატარა მდინარეების ფართოდ გამოყენება სატრანსპორტო მიზნით და მათი ათვისება ადგილობრივი ჰიდროელექტროსადგურების საგებად.

13. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის რსფს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 44.595 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, აქედან ადგილობრივი საბჭოების ხაზით 4.228 ათასი კვადრატული მეტრი. დამტკიცდეს 1946-1950 წლებისათვის რსფს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 11.261 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, აქედან ადგილობრივი საბჭოების ხაზით 2.643 ათასი კვადრატული მეტრი.

აღდგენილ იქნას საბინაო და კომუნალური მეურნეობა ოკუპანტების მიერ დანგრეულ ქალაქებში, მათ შორის სტალინგრადში, დონის როსტოვში, კრასნოდარში, სტავროპოლში, სიმფეროპოლში, სევასტოპოლში, ვორონეჟში, ორიოლში, კურსკში, სმოლენსკში, კალინინში, ველიკიე ლუკში, ბრიანსკში, კალუგაში, ნოვგოროდსა და ფსკოვში.

14. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და განმრთელობის დაცვის დარგში. 1950 წელს აყვანილ იქნას სკოლების რიცხვი 116.203-მდე და სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 18.229 ათასამდე, საავადმყოფოს საწოლების რიცხვი 545 ათასამდე.

15. უზრუნველყოფილ იქნას რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ნაციონალური ოკრუგების სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი ყოველმხრივი განვითარება.

16. უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მთელ მუშაობაში სათანადო ყურადღება სსრ კავშირის შემადგენლობაში შემოსული ახალი ოლქებისა და ტერიტორიებისადმი — კენიგსბერგის ოლქის, პეჩენგის (პეტსამოს) რაიონისა, სახალინის სამხრეთი ნაწილისა და კურილის კუნძულებისადმი.

უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

17. დამტკიცდეს უკრაინის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

თუჯი (მილიონ ტონობით)	9,7
ფოლადი (მილიონ ტონობით)	8,8
ქვანახშირი (მილიონ ტონობით)	86,1
ნავთი (ათას ტონობით)	325
ელექტროენერგია (მილიონ კილოვატსაათობით)	13.690
კოქსი (მილიონ ტონობით)	15,5
ცემენტი (ათას ტონობით)	2.065
ლითონსაჭრელი ჩარხები (ცალობით)	5.950
ავტომობილები (ათას ცალობით)	25
სამაგისტრალო ლოკომოტივები (ცალობით)	1.000
საქონლის ვაგონები (ორღერძიანი გამოანგარიშებით—ცალობით)	55.500
ტრაქტორები (ათას ცალობით)	25
მეტალურგიული მოწყობილობა (ათას ტონობით)	35
კალცირებული სოდა (ათას ტონობით)	448
სუპერფოსფატი (ათას ტონობით)	860
მარილი (ათას ტონობით)	1.930
ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით)	1.637
ხორცი (ათას ტონობით)	245
ერბო-კარაქი (ათას ტონობით)	40
თევზეფერა (ათას ტონობით)	80

18. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის უკრაინის სს რესპუბლიკაში 49.500 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 5.469 მილიონი მანეთის რაოდენობით.

19. აღდგენილ იქნას დონბასისა და დნეპრისპირეთის მეტალურგიული ქარხნები. ამოქმედდეს 9,0 მილიონი ტონა თუჯის საერთო სიმძლავრის 30 ბრძმედი, 8,4 მილიონი ტონა ფოლადის სიმძლავრის ფოლადსადნობი აგრეგატები და 6,5 მილიონი ტონა მზა ნაგლინის სიმძლავრის 58 საგლინავი დაზგა.

უკრაინის ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრე 1946-1950 წლებში გადიდდეს 2.574 ათასი კილოვატით. აღდგენილ იქნას ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგური.

განხორციელდეს სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივ მომხმარებელთა საჭიროებისათვის 203 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა. ამოქმედდეს სიმძლავრეები კომუნალურ ელექტროსადგურებში 95 ათასი კილოვატის რაოდენობით.

20. უზრუნველყოფილ იქნას დონბასის ქვანახშირის მრეწველობის უსწრაფესი აღდგენა და შემდგომი განვითარება და ამოქმედდეს 1946-1950 წლების მანძილზე ქვანახშირის შახტები უკრაინის სს რესპუბლიკის სტალინოსა და ვოროშილოვგრადის ოლქებში 77,5 მილიონი ტონის საერთო სიმძლავრისა. ფართოდ გაჩაღდეს ქვანახშირის საბადოების დამუშავება უკრაინის მარჯვენა ნაპირისა და დასავლეთ ოლქებში. უკრაინის სს რესპუბლიკაში ქვანახშირის საერთო მოპოვება 1950 წელს აყვანილ იქნას 86,1 მილიონ ტონამდე, მათ შორის მურა ნახშირის მოპოვება 6 მილიონ ტონამდე.

აგებულ იქნას და ამოქმედდეს დაშავა-კიევის გაზსადენი.

21. აღდგენილ იქნას უკრაინაში მანქანათმშენებლობის ქარხნები, უწინარეს ყოვლისა ქვანახშირის, მეტალურგიული და ენერგეტიკული მოწყობილობის, ორთქლმავალ და ვაგონმშენებლობის, ელექრომანქანათმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნები.

აშენდეს საავტომობილო ქარხანა, რომელიც წლიურად გამოუშვებს 60 ათას სატვირთო ავტომობილს, და ორი ავტოსაამწყობო ქარხანა.

22. აღდგენილ იქნას ქიმიური მრეწველობის ქარხნები უკრაინაში, მათ შორის სოდის, აზოტ-ტუკისა და სუპერფოსფატის ქარხნები, კალიუმის საბადნები სტანისლავისა და დროგობიჩის ოლქებში და აშენდეს ახალი სუპერფოსფატის ქარხანა, ლაქ-საღებავების ქარხანა და პლასტმასების ქარხანა.

23. აღდგენილ იქნას და აშენდეს 1946-1950 წლებში შაქრის ქარხნები დღე-ღამეში 67 ათასი ტონა შაქრის ჭარხლის გადამუშავების საერთო სიმძლავრისა, სპირტის, ზეთსახდელი და კონსერვის ქარხნები. აღდგენილ იქნას და გადიდდეს კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება უკრაინის სს რესპუბლიკაში 1950 წელს 4,4 მილიარდ მანეთამდე.

აღდგენილ იქნას და აშენდეს 55 ხორცკომბინატი, 33 მაცივარი, 97 მეფრინველეობის კომბინატი, 46 რძის ქარხანა და 100 მექანიზებული ერბო-კარაქ-ყველის ქარხანა.

24. გამოკვლეულ იქნას 1946-1950 წლებში რკინის მადნის სამრეწველო მარაგი კრივოი როგის საბადოებში 450 მილიონი ტონის რაოდენობით, ძარგანეცის მადნისა 75 მილიონი ტონის, კალიუმის მარილებისა 80 მილიონი ტონის, გრაფიტის 7,7 მილიონი ტონის და თაბაშირისა 7 მილიონი ტონის რაოდენობით. მომზადდეს ახალი შახტმშენებლობისათვის 73 მილიონი ტონის სიმძლავრის 139 ქვანახშირის უბანი; ჩატარდეს საძიებო სამუშაოები უკრაინის მარჯვენა ნაპირისა და დასავლეთ ოლქებში მურა ნახშირის მაღაროების სამრეწველო უბნების მოსამზადებლად. ფართოდ გაჩაღდეს ბუნებრივი გაზის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები დროგობიჩისა და აზოვ-შავი ზღვის რაიონებში, გადიდდეს ნავთის სამრეწველო მარაგი 325 ჰაბურღილ-წერტით უკრაინის დასავლეთ ოლქებში, აგრეთვე დამთავრდეს სამრეწველო ძიება რომნის რაიონში.

25. უკრაინის სს რესპუბლიკაში მაქნისი მერქნის შეზიდვის შესამცირებლად დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის მაქნისი მერქნის დამზადებისა და გამოზიდვის გეგმა უკრაინაში 47,6 მილიონი კუბური მეტრის რაოდენობით, უკრაინის დასავლეთ ოლქებში ხე-ტყის დამზადების გადიდებით, ამასთან შეზღუდულ იქნას ტყის გაკაფვა უკრაინის აღმოსავლეთ ოლქებში. ფართოდ გაჩაღდეს ტყის აღსადგენი სამუშაოები. ამასთან 1946-1950 წლების მანძილზე უზრუნველყოფილ იქნას ტყის რგვა 252 ათას ჰექტარ ფართობზე და სამუშაოთა ჩატარება გამეჩხერებულ ტყის ნარგავთა შესავსებად და ტყის სწრაფმზარდი ჯიშების დასანერგავად.

26. აღდგენილ იქნას და აშენდეს სამშენებლო მასალათა მრეწველობის ახალი საწარმოები. მათ შორის ცემენტის, მინის, აგურის, კირის, კრამიტის ქარხნები, ლითონკონსტრუქციათა ქარხნები, სტანდარტული სახლების, სამშენებლო დეტალების, სანიტარული ტექნიკის, რბილი სახურავის, დიდი სიგრძის თაბაშირის ქარხნები, და უზრუნველყოფილ იქნას სამშენებლო მასალათა მრეწველობის საწარმოებისათვის მტკიცე ადგილობრივი სათბობ-ენერგეტიკული ბაზის შექმნა.

(გაგრძელება იქნება)

მარშალ ჯიჯოს გამოსვლა პრალის პრეს-კონფერენციაზე

პრალა, 24 მარტი. (საკდესი). უცხოელ ჟურნალისტთა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გუშინ შესდგა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, პრაღაში მყოფმა იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრმა მარშალმა ტიტომ პასუხი გასცა უცხოელ კორესპონდენტთა მთელ რიგ შეკითხვებზე.

ერთ-ერთი კორესპონდენტის შეკითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიას შორის ხელშეკრულების ხელმოწერა, მარშალმა ტიტომ უპასუხა, რომ მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიას შორის პოლონეთთან ამას წინათ დადებული ხელშეკრულების ანალოგიური ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ შეიძლება დაიწყოს უახლოეს ხანში. მეგობარ სლავურ სახელმწიფოთა შორის ასეთ ხელშეკრულებათა დადება, განაცხადა ტიტომ, წარმოადგენს არა რაიმე ბლოკის შექმნას, არამედ სლავ ხალხთა შორის მეგობრობის გამოვლინებას.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ ვინ გამოიჩინა ინიციატივა იუგოსლავია-პოლონეთის ხელშეკრულების ხელმოწერაში, ტიტომ უპასუხა, რომ იუგოსლავიასა და პოლონეთს შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების ინიციატივა ორივე მხარეს ეკუთვნისო.

შეკითხვაზე იუგოსლავიის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ტიტომ უპასუხა, რომ ეს მდგომარეობა კვლავ მძიმეა. არსებობს ყველა პირობა იუგოსლავიის სამეურნეო აღდგენისათვის. სახალხო მეურნეობის აღდგენაში დიდ სტიმულს ის წარმოადგენს, რომ ახლა ყველა მუშობს მხოლოდ თავისთვის, ხალხის კეთილდღეობისათვის.

უპასუხა რა შეკითხვაზე ტრიესტის მომავალი ბედის შესახებ, ტიტომ რწმენა გამოსთქვა, რომ ტრიესტი სამართლიანად იქნება იუგოსლავიის კუთვნილება.

მარშალ ჯიჯო პრალაში

პრალა, 24 მარტი. (საკდესი). პრაღაში მარშალ ტიტოს ყოფნა დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოძმე სლავ ხალხთა შორის მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

როცა მარშალი ტიტო და იუგოსლავიის არმიის გენერლები და ოფიცრები, რომლებიც მას ახლდნენ, პრაღის ქუჩებში ჰიდიოდნენ ვაცლავის მოედანზე მდებარე ეროვნული მუზეუმიდან პრეზიდენტის რეზიდენციამდე, იუგოსლავიის გმირს მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის ათეულათასობით მცხოვრებნი, ფაბრიკა-ქარხნები, ახალგაზრდული და სასპორტო ორგანიზაციების მრავალი კოლექტივი, არმიის ნაწილები და სხვები. პრეზიდენტის რეზიდენციაში მისვლის შემდეგ ტიტო მიიღო ბენეშმა და ხანმოკლე საუბარი ჰქონდა მასთან. საუბარს დაესწრნენ ტიტოს თანმხლები გენერალი ვლაბტი, კულტურისა და ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე რიანიკარი, ჩეხოსლოვაკიაში იუგოსლავიის დესპანი ჩერნეი, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი მასარიკი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოსეკი, სტატს-მდივანი კლემენტისი, სტატს-მდივანი ფერიენჩიკი, გენერალური შტაბის უფროსი ბოჰეკი.

პრეზიდენტის რეზიდენციიდან მარშალი ტიტო გაემართა სტარომესტის მოედნისაკენ, სადაც გვირგვინით შეამკო „უცნობი ჯარისკაცის“ საფლავი. შემდეგ მარშალი ტიტო ეწვია დროებითი ეროვნული კრების თავმჯდომარეს დავიდს. უფრო გვიან პარლამენტის შენობაში მარშალი ტიტო შეხვდა პრემიერ-მინისტრ ფირლინგერს.

საღამოს ეროვნულ თეატრში ტიტოს პატივსაცემად შესრულებულ იქნა სახელგანთქმული ჩეხი კომპოზიტორის სმეტანას ოპერა „გაყიდული სარძლო“. მარშალ ტიტოსთან ერთად სპექტაკლს დაესწრნენ პრეზიდენტი ბენეში, პრემიერ-მინისტრი ფირლინგერი და სხვები. თეატრში იყვნენ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები. საზოგადოებრივობისა და მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი მხურვალედ მიესალმა მარშალ ტიტოს.

მარშალმა ჯიჯომ იუგოსლავიის ორდენები გადასცა ჩეხოსლოვაკიის გენერლებსა და ოფიცრებს

პრალა, 25 მარტი. (საკდესი). პრაღაში მყოფმა მარშალმა ტიტომ იუგოსლავიის ორდენები გადასცა ჩეხოსლოვაკიის არმიის გენერლებსა და ოფიცრებს, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიაში პარტიზანული მოძრაობის მონაწილეებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩეხოსლოვაკიის ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალი სეობოდა დაჯილდოებულია იუგოსლავიის უმაღლესი ორდენით—„სახალხო გმირის“ ორდენით და პირველი კლასის ორდენით „ხალხის წინაშე დამსახურებისათვის“.

23 მარტს საღამოს მარშალი ტიტო პრაღიდან გაემგზავრა. ვაგზალში მარშალი ტიტო გააცილეს პრემიერ-მინისტრმა ფირლინგერმა, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გენერალმა სეობოდამ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოსეკმა, გზათა მინისტრმა გასალმა, სტატს-მდივანმა კლემენტისმა და საბჭოთა ელჩმა ჩეხოსლოვაკიაში შინაარსი.

უარჰყოფს რა თავის საკუთარ ყალბ განცხადებებს იმის შესახებ, თითქოს ავსტრიელებს სურდათ „შეერთებოდნენ იმპერიას“, გერინგი აღიარებს, რომ ეგრეთწოდებული ანშლუსი ავსტრიას თავს მოახვიეს გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა. გერინგი აღიარებს აგრეთვე, რომ გერმანელ ფაშისტებს ავსტრიაში სიმპატიით ეკიდებოდნენ მხოლოდ ავსტრიელი ფაშისტები.

შემდეგ გერინგი ირწმუნება, თითქოს გერმანიის შეიარაღებული ძალების მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა თითქმის უნებლიეთ მოხდა, თითქოს გერმანია „მხოლოდ თავს იცავდა“ ჩეხოსლოვაკიის მხრივ შესაძლო „ოინებისაგან“.

გერმანია-პოლონეთის ურთიერთობის შესახებ გერინგი აჩვენებს, რომ ჰიტლერის დავალებით იგი ხშირად ჩადიოდა პოლონეთში და ძოლაპარაკებას აწარმოებდა პილსუდსკისთან, რიდ-სმიგლისთან და ბეკთან ყველა საკითხზე. პოლონეთის ზედაფენასთან ამ ლაქუეს გერინგი ხსნის იმით, რომ სურდათ პოლონეთის სახით ბარიერი შეექმნათ გერმანიასა და საბჭთა კავშირს შორის. პოლონეთის მთავრობის გადაბირების მიზნით, ჰიტლერელები არ აყენებდნენ დანაკლისს და პოლონეთის კორიდორის საკითხს. „ფიურერმა მიმითითა,—აჩვენებს გერინგი,—არ აღმეძრა ეს საკითხი გარკვეულ პერიოდამდე, როცა მოგვიცემოდა მისი გადაჭრის შესაძლებლობა“.

უპასუხებს რა დამცველის შეკითხვას, გერინგი ადასტურებს, რომ ჰიტლერი აპირებდა დაერტყა საფრანგეთისათვის ჯერ კიდევ 1939 წლის ზამთარში. მხოლოდ მეტეოროლოგიურმა პირობებმა შეუშალეს ხელი ამას, რამდენადაც გერმანიის სარდლობა ვერ ბედავდა ოპერაცია ეწარმოებინა მაჟინოს ხაზის წინააღმდეგ ავიაციის დაუზმარებლად.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

13 მარტის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 13 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 13 მარტის საღამოს სხდომა მიეძღვნა კესელრინგის დაკითხვის დამთავრებას და ბრალდებულ გერინგის დაკითხვის დაწყებას. გერინგმა ორ საათნახევარი მოანდომა თავისი „მოღვაწეობის“ მხოლოდ მცირე ნაწილზე ლაპარაკს.

სხდომის დასაწყისში ინგლისის ბრალდების წარმომადგენელმა რამდენიმე შეკითხვა მისცა მოწმე კესელრინგს 382 იტალიელის დახვრეტის გარემოებათა შესახებ. როგორც მოწმის მიკბულ-მოკბული და ზოგჯერ აშკარად ცრუ პასუხიდან გამოირკვა, ეს 382 კაცი გერმანელმა ხელისუფლებმა იტალიაში იმისათვის დახვრიტეს, რომ დაეშინებინათ იტალიელი ხალხი, რომელმაც აშკარა ბრძოლა დაიწყო გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. აქვე ირკვევა, რომ სს-ელები იტალიაში ხვრეტდნენ მოკავშირეთა საზღვაო დესანტების მონაწილეებს, ეგრეთწოდებულ „კომანდოსებს“.

ამის შემდეგ დამცველი შტამერი ბრალდებულ გერინგის საქმეზე მოწმედ იწვევს თვით გერინგს. გერინგი სასამართლოს ჯერ თავის ბიოგრაფიას მოუთხრობს, ხაზგასმით აღნიშნავს ადრინდელ კავშირს ჰიტლერთან და თავის ხელმძღვანელ როლს მოიერიშეთა რაზმების შექმნაში. გერინგი მხოლოდ გაკვრით იხსენებს „ლუდის პუტჩს“, ითიზეზებს, რომ ამ პუტჩის დროს მძიმედ დაიჭრა და ამიტომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მის შესახებ. 1927 წელს გერინგი კვლავ შეხვდა ჰიტლერს, დაზარდა რაიხსტაგის დეპუტატის ადგილ, რომელიც მას ჰიტლერმა შესთავაზა, და კვლავ წავიდა სამუშაოდ ფაშისტურ პარტიაში.

გერინგის ნამდვილი ნიჭი მხოლოდ მას შემდეგ გაიფურჩქნა, რაც ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში მოექცა. გერინგის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო გესტაპოს შექმნა პრუსიაში, რომლის პრემიერადაც იგი პაპენის შემდეგ დაინიშნა, და საკონცენტრაციო ბანაკების მოწყობა. გერინგი ამკარად იკვეხნის, რომ ჰიტლერელებმა ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე დაიწყეს თავის მოწინააღმდეგეთა დევნა. „ჩვენთვის ცხადი იყო, —ამბობს გერინგი,—რომ ამა თუ იმ საშუალებით ძალა-უფლებას ჩამოგვაშორებდნენ. ამისათვის, რომ ძალა-უფლება განგვემტკიცებინა, რაიხსტაგის გავლენა უნდა მოგვესპო. ეს იმგვარად უნდა მომხდარიყო, რომ ჩვენ რაიხსტაგში აბსოლუტური უმრავლესობა გვყოლოდა. ამიტომ წინადადება მივეცით პარტიებს დაშლილიყვნენ, რამდენადაც ისინი თავიანთ არსებობას ვეღარ ამართლებდნენ. ჩვენ დავშალეთ ის პარტიები, რომლებსაც არ სურდათ თვითონ დაშლილიყვნენ“.

გერინგის შემდგომი დაკითხვა გადატანილია ტრიბუნალის 14 მარტის სხდომაზე.

14 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 14 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 14 მარტის დილის სხდომა მიეძღვნა ბრალდებულ გერინგის დაკითხვას მის დამცველ შტამერის მიერ. სხდომის დაწყებისას დამცველი შტამერი მთელ რიგ შეკითხვებს აძლევს ბრალდებულს, რომლებიც შეეხებიან ჰიტლერული პარტიის პროგრამასა და საქმიანობას, სს-ის ორგანოების შექმნას, მათ მიზნებს და იმას, თუ რა მონაწილეობას იღებდა ბრალდებული სს-ში.

გერინგი ვრცლად უპასუხებს თავისი დამცველის ამ შეკითხვებზე. ეხება რა თავის საქმიანობას სს-ში, ბრალდებული უარჰყოფს, რომ მას ჰქონდა რაიმე წოდება სს-ის ჯარების ხაზით. დამცველის შეკითხვაზე „ბატონთა რასის“ შესახებ, „საარსებო სივრცის“, ჰიტლერელების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების და ფიურერობის პრინციპის შესახებ გერინგი უპასუხებს, რომ იგი დდგებითად ეპყრობოდა და ეპყრობა ფიურერობის პრინციპს და გიმეორა ფაშისტ მეთაურთა ცნობილი განცხადებანი „საარსებო სივრცის“ შესახებ. ბრალდებული აღიარებს, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ჰიტლერელებმა მოახდინეს გერმანიის კომუნისტური პარტიისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის კუთვნილ ქონების კონფისკაცია. გერინგის სიტყვით, გერმანიაში არსებული პროფკავშირები არ შეეფერებოდნენ ჰიტლერულ სახელმწიფოს და დაშლილ იქნენ. ბრალდებული არაფერს ამბობს პროფკავშირების ქონების კონფისკაციის შესახებ.

ეხება რა რემის პუტჩს, ბრალდებული გერინგი ხატავს ჰიტლერელთა ბანაკში ხელისუფლებისათვის არსებული გაფფთრებული სისხლისმღვრელი ბრძოლის სურათს. ბრალდებულის ჩვენებიდან ჩანს მისი საკუთარი როლიც ამ ბრძოლაში ჰიტლერის მხარეზე. ბრალდებული დაწვრილებითს ჩვენებას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ ეპყრობოდნენ ჰიტლერელები ეკლესიას და როგორ ეპყრობოდა თვითონ იგი რელიგიური კულტებისა და ეკლესიის მსახურთ. იგი ცდილობს ყოველნაირი საშუალებით გაამართლოს ნაცისტების დანაშაულებრივი მოქმედება ებრაელების მიმართ, ბრალდებული ცდილობს ნაცისტების მიერ ებრაელი მოსახლეობის დევნა კონტრზომად დასახოს. გერინგის სიტყვით, ჰიტლერი აპირებდა „დიდსულოვნად გადაეკრა“ ებრაელთა პრობლემა ომის შემდეგ.

მაგრამ, როგორც ცნობილია ბრალდების მასალებიდან, ებრაელთა პრობლემას ომამდე და ომის დროს ჰიტლერელები, ჰიტლერის პირდაპირი ბრძანებებით, სწყვეტდნენ დარბევით, გეტოში. საკონცენტრაციო ბანაკებში, საპყრობილეებში ებრაელი მოსახლეობის მასობრივი მოსპობის გზით და მასობრივი დახოცვა-დახვრეტით. გერინგი ცდილობს თავი გაასაღოს ებრაელთა დამცველად და მთელ დანაშაულს მათს ელვატაში აბრალებს გებელსსა და ჰიტლერს, მაგრამ მაინც აღიარებს, რომ თვითონ ხელს აწერდა ანტისემიტურ კანონებს.

გერინგმა, გარდა ყალბი ფაშისტური პროპაგანდის ჩვეულებრივი თეზისებისა, ახალი ვერაფერი სთქვა ომრეთვე ომის გაჩაღებისათვის ჰიტლერელ შეთქმულთა მომზადების გასამართლებლად. იგი ბევრს ლაპარაკობს, აზვიდებს თავის დამსახურებას გერმანიის საპაერო ფლოტის შექმნაში და იკვეხნის, რომ საშუალება ჰქონდა ჰიტლერული ავიაზაკური ავიაცია ჯერ კიდევ ფრანკოს მხარეზე გამოეცადა ესპანეთში წარმოებული ომის დროს. გერინგმა აჩვენა, რომ მგი ცდილობდა შეექმნა ბომბდამშენი ავიაცია, რომელსაც უნარი ექნებოდა იერიში მიეტანა ამერიკის მრეწველობაზე.

გერინგის შემდგომი დაკითხვა გადატანილია ტრიბუნალის 14 მარტისათვის.

14 მარტის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 14 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 14 მარტის საღამოს სხდომაზე გერინგი, უპასუხებდა რა მისი დამცველის მიერ მიცემულ მისახვედრ კითხვებზე, განაგრძობდა ჩვენებას თავისი საქმიანობის შესახებ უშუალოდ ომის წინა წლებში. ირკვევა, რომ ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე გერინგმა ავიაციის სამინისტროში შექმნა საძახედრო-საპაერო ფლოტის ეგრეთწოდებული საკვლევი სამმართველო. მისი სიტყვით, ამ სამმართველოს კვლევითი საქმიანობა იმაში მდგომარეობდა, რომ მისი აგენტები ფარულად უედებდნენ ყურს, როცა უცხოთის საელჩოები ტელეფონით ლაპარაკობდნენ საზღვარგარეთთან, აგრეთვე ურთიერთმრიხის, იტერდნენ საზღვარგარეთ გაგზავნილ რადიოდეპეშებს და ტელეგრამებს და ეწეოდნენ მათს განშიფრვას. სხვა სიტყვებით რომ თქვას, გერინგმა შეჭმნა გერმანიაში სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული შპიონაჟის პირველი ორგანო. გერინგი იკვეხის, რომ მან იცოდა ამერიკის ბერლინელი გენერალური კონსულის მესერსმიტის ყველა მოსხენებათა შინაარსი.

უარჰყოფს რა თავის საკუთარ ყალბ განცხადებებს იმის შესახებ, თითქოს ავსტრიელებს სურდათ „შეერთებოდნენ იმპერიას“, გერინგი აღიარებს, რომ ეგრეთწოდებული ანშლუსი ავსტრიას თავს მოახვიეს გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა. გერინგი აღიარებს აგრეთვე, რომ გერმანელ ფაშისტებს ავსტრიაში სიმპატიით ეკიდებოდნენ მხოლოდ ავსტრიელი ფაშისტები.

შემდეგ გერინგი ირწმუნება, თითქოს გერმანიის შეიარაღებული ძალების მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა თითქმის უნებლიეთ მოხდა, თითქოს გერმანია „მხოლოდ თავს იცავდა“ ჩეხოსლოვაკიის მხრივ შესაძლო „ოინებისაგან“.

გერმანია-პოლონეთის ურთიერთობის შესახებ გერინგი აჩვენებს, რომ ჰიტლერის დავალებით იგი ხშირად ჩადიოდა პოლონეთში და ძოლაპარაკებას აწარმოებდა პილსუდსკისთან, რიდ-სმიგლისთან და ბეკთან ყველა საკითხზე. პოლონეთის ზედაფენასთან ამ ლაქუეს გერინგი ხსნის იმით, რომ სურდათ პოლონეთის სახით ბარიერი შეექმნათ გერმანიასა და საბჭთა კავშირს შორის. პოლონეთის მთავრობის გადაბირების მიზნით, ჰიტლერელები არ აყენებდნენ დანაკლისს და პოლონეთის კორიდორის საკითხს. „ფიურერმა მიმითითა,—აჩვენებს გერინგი,—არ აღმეძრა ეს საკითხი გარკვეულ პერიოდამდე, როცა მოგვიცემოდა მისი გადაჭრის შესაძლებლობა“.

უპასუხებს რა დამცველის შეკითხვას, გერინგი ადასტურებს, რომ ჰიტლერი აპირებდა დაერტყა საფრანგეთისათვის ჯერ კიდევ 1939 წლის ზამთარში. მხოლოდ მეტეოროლოგიურმა პირობებმა შეუშალეს ხელი ამას, რამდენადაც გერმანიის სარდლობა ვერ ბედავდა ოპერაცია ეწარმოებინა მაჟინოს ხაზის წინააღმდეგ ავიაციის დაუზმარებლად.

გერინგი უბრუნდება კვლავ პოლონეთს და აჩვენებს, რომ მან და ჰიტლერმა ხელი მოაწერეს ბრძანებას, რომელიც საგანგებო უფლებებს ანიჭებდა ჰიმლერს პოლონეთის დასავლეთი ოლქების გერმანიზაციის საქმეში. „მე საესებით დადებითად ვეკიდებოდა ამას,—ამბობს ბრალდებული,—რადგან ეს შეეფერებოდა ჩემს შეხედულებებს. ეს ოლქები გერმანიას უნდა დაბრუნებოდა“.

ეხება რა მისი აგენტების მიერ ევროპის ყველა ქვეყანაში, და კერძოდ პოლონეთში, მოპარულ მხატვრულ ფასეულობას, გერინგი უტიფრად აცხადებს, „უმართებულო იქნება“ მე რომ მძარცველად ჩამთვალონ, რამდენადაც მუდამ „დიდად ვაფასებდი ხელოვნებასო“.

გერინგისა და კვისლინგის ურთიერთობის შესახებ დამცველის შეკითხვის პასუხად გერინგი აჩვენებს, რომ კვისლინგმა მას სთხოვა ფული თავისი, კვისლინგის, ორგანიზაციის დასაფინანსებლად, ესე იგი ნორვეგიაში ჰიტლერული მეხუთე „კოლონის“ ძირგამოთხრელი დივერსიული მუშაობის დასაფინანსებლად. საქმის დედაარსის გაცნობის შემდეგ გერინგმა გადასწყვიტა კვისლინგის დაფინანსება.

გერინგმა ცინიკურად განაცხადა, რომ იგი სავსებით იწონებს, როგორც იგი ამბობს, „ნორვეგიის ოპერაციას“. ესე იგი გერმანიის ჯარების მიერ ნორვეგიის დაპყრობას.

გერინგის დაკითხვის გაგრძელება გადატანილია 15 მარტისათვის.

ბულგარეთის ახალი მთავრობის შედგენის წინ

სოფია, 24 მარტი. (საკდესი). 22 მარტს საბალხო კრების ხელმძღვანელობასა და სამეფო ფორნტის პარტიების წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ რეგენტებმა შემდეგი ოფიციალური განცხადება გააკეთეს:

„ჩვენ დავავალეთ კიმონ გეორგიევს შეადგინოს ახალი მთავრობა. მისი ნება რწმუნებანნი ძალიან ფართოა და მას შეუძლია მოლაპარაკება აწარმოოს თავისი შეხედულებით“.

22 მარტს შესდგა საპარლამენტო ჯგუფების სხდომა სამეფო ფრონტის პარტიების ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად. ბულგარეთის მუშათა პარტიის—კომუნისტების საპარლამენტო ჯგუფმა, რომელსაც სხდომა ჰქონდა გიორგი დიმიტროვის თავმჯდომარეობით, ერთსულოვნად მოიწონა პარტიული ხელმძღვანელობის პოზიცია ყველა იმ საკითხში, რაც დაკავშირებულია ახალი მთავრობის შედგენასთან კიმონ გეორგიევის მეთაურობით. ჯგუფმა აზრი გამოთქვა, რომ ახალი მთავრობის შემადგენლობაში შეყვანილ იქნან პრემიერ-მინისტრის ორი ძოადგილე და რამდენიმე სამინისტროს მოადგილეები.

ბულგარეთის სამეფოსამთმქმედო სახალხო კავშირის საპარლამენტო ჯგუფმა, რომელმაც განიხილა თავისი ოთხი მინისტრის საქმიანობა და თავის წარმომადგენელთა წინადადებანი რეგენტებისადმი მომავალი მთავრობის შედგენის საკითხზე, მოიწონა როგორც თავისი მინისტრების საქმიანობა, ისე წინადადებანი რეგენტებისადმი.

სახალხო კავშირ „ზვენოს“ აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელსაც სხდომა ჰქონდა თავისი სრული შემადგენლობით კიმონ გეორგიევის თავმჯდომარეობით, ერთსულოვნად გადასწყვიტა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს გეორგიევს მთავრობის შესადგენად მისთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებაში.

ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ კიმონ გეორგიევი მისთვის დაკისრებული დავალების შესასრულებლად განაგრძობდა აზრთა წინასწარ გაცვლა-გამოცვლას ახალი კაბინეტის შექმნის შესახებ. პრემიერ-მინისტრი კიმონ გეორგიევი შეხვდა ბულგარეთის მეფოსამთმქმედთა სახალხო კავშირის წარმომადგენლებს და ორი ოპოზიციური ჯგუფის პოლიტიკურ მდგომარეობას.

რეიჯერის სააგენტო ბევინისადმი ლეიბორისტთა დამოკიდებულების შესახებ

ლონდონი, 24 მარტი. (საკდესი). რეიტერის საააგენტოს მიმომხილველი დავიდ კონდონი სწერს, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე თემთა პალატაში ამას წინათ მოძხდარი კამათის დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ კონსერვატიული ოპოზიცია საგარეო საქმეთა მინისტრ ბევინის გამოსვლებს უფრო მქუხარე ტაშით ხვდებოდა, ვიდრე ლეიბორისტები.

ბევინის კრიტიკოსები თემთა პალატაში ამჟამად კონსერვატორები კი არ არიან, არამედ პარლამენტის ლეიბორისტ წევრთა ჯგუფი. საბჭოძნეთის არჩევნების გადადების საკითხი ხელს უწყობდა ამ მდგომარეობისათვის ყურადღების მიპყრობას. პარლამენტის 85-მდე ლეიბორისტმა წევრმა მოაწერა ხელი დეპუტაციის მიღ საგარეო საქმეთა მინისტრისათვის წარდგენილ პეტიციას, რომლითაც მოითხოვდნენ, რომ მას გადაედო არჩევნები. მაგრამ ბევინმა უარი უთხრა მათ ამაზე.

გენერალ მიხაილოვიჩის დაპყრობა

ბელგრადი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც ბელგრადის რადიო გადმოგვცემს, დღეს სახალხო სკუპშჩინის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა გენერალმა სანკოვიჩმა სახალხო დეპუტატებს აცნობა, რომ გამცემი მიხაილოვიჩი 13 მარტიდან სახალხო ხელისუფალთა ორგანოების ხელშია.

..სომხეთის უფლებათა დაცვის ამერიკის კომიტეტის“ თავმჯდომარის განცხადება

ნიუ-იორკი, 22 მარტი. (საკდესი). „სომხეთია უფლებათა დაცვის ამერიკის კომიტეტის“ თავმჯდომარემ სმიტმა პრეასი წარმომადგენლებს განუცხადა, რომ კომიტეტი „ამერიკაში მყოფ სომეხთა ეროვნულ საბჭოსთან“ თანამშრომლობით მთელ რიგ მიტინგებს მოაწყობს ამერიკის შეერთებული შტატების ბევრ ქალაქში იმისათვის, რომ უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაპყროს მილიონზე მეტი სომხის საჭიროებებს. შემდეგ მან განაცხადა, რომ ეს მიტინგები დამთავრდება დიდი მიტინგით ნიუიორკის „კარნეგი ჰოლში“ 28 აპრილს. მიტინგის მონაწილენი მიმართავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოწოდებით აიძულოს თურქეთი უარი სთქვას სომხურ პროვინციებზე.

ჰარიმანისა და ვაინანტის ახალი დანიშვნა

ვაშინგტონი, 24 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მდივანმა პრესის საკითხებში 22 მარტს განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი რუსეთში ავერელ ჰარიმანი ინიშნება ელჩად ლონდონში ჯონ ვაინანტის ნაცვლად. მან დასძინა, რომ ვაინანტი შეერთებული შტატების წარმომადგენელი იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში.

გენერალ ანდერსის ჯარები იარაღს აწვდიდნენ სიციელელ სეპარატისტებს

რომი, 24 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ჯორნალე დელა სერამ“ გამოაქვეყნა გაზეთ „ვორე დელა სიჩილიადან“ გადმობეჭდილი ცნობა იმის შესახებ, რომ სიციელელ სეპარატისტთა ცალკე ბანდების ამას წინათ დაპატიმრებულ ხელმძღვანელთა დაკითხვიდან გამოირკვა, რომ 1945 წლის დეკემბერში გენერალ ანდერსის ჯარებმა ინგლისელთა კორპუსის ოფიცრებმა მეამბოხეებს მნიშვნელოვანი რაოდენობის იარაღი გადასცეს.

ინდოეთში ჩავიდა ინგლისის მთავრობის დელეგაცია

ლონდონი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი კარაჩიდან იუწყება, გუშინ საღამოს იქ ჩავიდა სახალხო მინისტრი ალექსანდერი—მესამე წევრი ინგლისის მთავრობის დელეგაციისა, რომელიც ინდოეთს გაემგზავრა ინდოეთის ლიდერებთან ახალ კონსტიტუციაზე მოლაპარაკების გასაძართავად. დელეგაციის ორი სხვა წევრი—ინდოეთის საქმეთა მინისტრი პეტიჯ-ლოურენსი და ვაჭრობის მინისტრი სტაფორდ კრიპსი—უფრო ადრე ჩაფრინდნენ.

ი. გ. ბეჭვაიას ხსოვნას

ხანგრძლივი ავადმყოფობას შემდეგ გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი იაონ გიორგის-ძე ბეჭვაია.

ამხ. ბეჭვაია დაიბადა 1900 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდ ჭყონში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს, 1919 წელს, იგი შევიდა არალეგალურ კომკავშირულ ორგანიზაციაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1925 წლამდე ამხ. ბეჭვაია ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე იყო. 1925 წელს შევიდა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში. 1931 წლამდე იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე სენაკისა და ხაშურის რაიონებში, ხოლო 1932 წლიდან მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაის რაიკომის პირველ მდივნად.

1937 წელს ამხ. ბეჭვაია დაინიშნა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეთესლეობის სამმართველოს უფროსად. 1939 წელს გადაყვანილ იქნა „საქეთერზეთის“ ტრესტის მმართველად. 1941-1944 წლებში მუშაობდა ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1944 წლიდან საქართველოს ხორცმრეწველობის ტრესტის დირექტორად.

ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულმა შვილმა, ენერგიულმა მუშაკმა და მგრძნობიარე იასონ გიორგის-ძე ბეჭვაიამ მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა საზოგადოებრივ მუშაობას.

ბერიშვილი, ავეტისოვი, ზოდელავა, სტურუა, ჭარუმიძე, ბარძიმაშვილი, ყარყარაშვილი, ქავთარაძე, შენგელია, ქადეიშვილი, ტრაპაიძე, ჯარიაშვილი, სურგულაძე, ხატიაშვილი, აბრამოვი, ნადარეიშვილი.

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი მეათე ტური

მეათე ტურის ყურადღების ცენტრშია გროსმაისტერ კერესისა და პატატ ებრაელიძის პარტია. ლაზიერის ფრთაზე თამაშს ებრაელიძემ მეფის ფრთაზე იერიში დაუპირიდაპირა. მართალია მოწინააღმდეგეებს სხვადასხვა ფერის კუ დარჩათ, მაგრამ ებრაელიძემ ფიგურათა აქტიური განლაგება საუკეთესოდ გამოიყენა და ზედიზედ მოიგო ორი პაიკი. გროსმაისტერმა გაამარტივა მდგომარეობა, დასცვალა ფიგურები და თამაში ორი ეტლის ენდშპილში გადაიყვანა. პარტია გადაიდო. ებრაელიძეს მოგების შანსები აქვს.

პეტროსიანმა მოუგო ბლაგიძეს, გიორგაძემ—ბალაშიას. აღამალიანმა წააგო ფალავანდიშვილთან. ზაგორიანსკი—სოროკინის და ქარსელაძე—ნერსესოვის პარტიები ყიმმით დასრულდა. შაშოვმა მოუგო არუთინოვს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დღეს, 26 მარტს, შესდგება მეთერთმეტე ტური. მოკენსაი ეთამაშება ფალავანდიშვილს, კერესი — ნერსესოვს, ზაგორიანსკი — ბალაშიას და ებრაელიძე — გიორგაძეს.

მოხსენება

26 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს სსრ სახელმწიფო ზოოტექნიკურ-საცეტერინარო ინსტიტუტის კლუბში (მარნეულის ქ. № 15) დოცენტი ლ. ა. მოდებაძე გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „რეტიკულენდოთელიარული სისტემის ფუნქციის აღნაგობისა და გავრცელების საკითხისათვის ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში“.

სიტყვებით გამოვლენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ნათიშვილი, პროფესორი ს. საყვარელიძე, დოცენტები ა. ჯორბენაძე, ი. კვაჭაძე და სხვები.

კენცხოველის სახელობის სექალაქო პარტკაბინეტში

26 მარტს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„რუსეთის პირველი რევოლუცია“.**

სემინარს ქართულ ენაზე ჩაატარებს დოცენტი **ხუციშვილი,** რუსულ ენაზე—ამხ. **ნოლიანისი.**

26 მარტს, საღამოს 8 საათზე, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის შესდგება ინდივიდუალური კონსულტაცია.

კონსულტაციის რუსულ და ქართულ ენებზე ჩატარებს დოცენტი **ნ. ქადეიშვილი.**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება ოთხშაბათს, 27 მარტს, საღამოს 7 საათზე, კენცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მოქალაქე **არჩილ ვასილის-